საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 23 აგვისტო. 2021 წ. №170 (9289) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ჩვენი სიცოცხლე საფრთხეშია!

ვაქცინა-პირბადე-დისტანციას ჩვენი სიმტკიცე, იმედი, გადარჩენის რწმენა და ჯანსაღი ცხოვრების წესი თუ არ მივაშველეთ, პანდემია კიდევ უფრო მეტად დაგვაზარალებს!

არავის აქვს უფლება, მოსახლეობაში ტოტალური შიში დანერგოს!



საქართველოში მოზრდილი მოსახლეობის 10 პროცენტი სრულად ვაქცინირებულია

საქართველოში სრულად ვაქცინირებულია 286 187 ადამიანი, მოზრდილი მოსახლეობის 10 პროცენტი, – ამის შესახებ ინფორმაციას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

სულ მცირე ერთი დოზით ვაქცინირებულია 675 978 ადამიანი, რაც მოზრდილი მოსახლეობის 23.7 პროცენტს შეადგენს. ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 514 744 შემთხვევაა დადასტურებული. მათ შორის გამოჯანმრთელდა 448 288, გარდაიცვალა 6 771 პაციენტი.

ვაქცინა უშვილობას არ იწვევს! 6

როგორ დაიცვან თავი ორსულებმა დელტა შტამისგან? 7

ირაკლი ღარიბაშვილი:

ჩემთვის დიდი პატივია, რომ ოფიციალურად ვიმყოფებოდე ჩემი და ჩემი ხალხისთვის გამორჩეულ მეგობრულ სახელმწიფოში, უკრაინაში, მინდა, გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ ძალიან თბილი მასპინძლობისთვის! უკრაინა და უკრაინელი ხალხი ჩვენთვის ძალიან ძვირფასია. უკრაინა არის არამხოლოდ მეგობარი სახელმწიფო, არამედ არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ჩვენი ურთიერთობები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით უკრაინაში იმყოფება. მთავრობის მეთაურს უკრაინელმა კოლეგამ, დენის შმიგალმა, ქალაქ ლვოვში უმასპინძლა.

საქართველო და უკრაინა მზად არიან კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობა და მაქსიმალურად განავითარონ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა

2



რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ!

„საქართველო ზურგს აქცევს დასავლეთს“

8

რეგიონებში გიორგი გახარია აჯობებს „ნაცმოძრაობას“!

3

ეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემაა!

ნიადაგი, მარცვალი და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება

5

ლია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველო და უკრაინა მზად არიან კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობა და მაქსიმალურად განავითარონ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა

საქართველოსა **და უკრაინის სტრატეგიული პარტნიორობა, საერთო ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, ასევე არსებული გამოწვევები იყო ძირითადი თემები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალის პირისპირ შეხვედრაზე, რომელიც გუშინ კიევში, უკრაინის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა.**

საუბარი შეეხო ორი ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და ასოცირებული ტრიოს ფორმატში ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას კონკრეტული შედეგების მისაღწევად. აღინიშნა, რომ ნატო-ში გაწევრიანება საქართველოსა და უკრაინის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად, კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა, მათ შორის საერთო ინტერესის ისეთ საკითხზე, როგორიცაა შავი ზღვის უსაფრთხოება.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა უკრაინის საზღვრებთან და დროებით ოკუპირებულ ყირიმში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა და უკრაინელ კოლეგას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საქართველოს ურყევი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობასა და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე.

დენის შმიგალმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი უკრაინის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა, რომელშიც ორი ქვეყნის მთავრობის წევრები მონაწილეობდნენ. დენის შმიგალმა საქართველოში ვიზიტი გაიხსენა და ქართველ კოლეგას გულთბილი მასპინძლობისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

მხარეებმა დაადასტურეს მზადყოფნა, კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობა და მაქსიმალურად განავითარონ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა.

დენის შმიგალმა ქართველ კოლეგას მადლობა გადაუხადა ყირიმის პლატფორმის სამიტში მონაწილეობისა და ინიციატივის მხარდაჭერისთვის, რომელიც, მისი შეფასებით, ქმნის შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ გამახვილდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობაზე უკრაინისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისთვის.

ქალაქ ლვოვში ქართული დელეგაციის გულთბილი მიღებისთვის უკრაინელ კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ადასტურებს მზადყოფნას, მომავალშიც განაგრძოს სტრატეგიულ პარტნიორ უკრაინასთან ნაყოფიერი თანამშრომლობა.

გაფართოებული ფორმატის შეხვედრაში ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში თეიმურაზ შარაშენიძე მონაწილეობდნენ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა მედიისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას შეგვიძლია, ბევრი წარმატების მაგალითი ვაჩვენოთ საერთაშორისო თანამეგობრობას და დავუმტკიცოთ პარტნიორებს, რომ ვიმსახურებთ ევროკავშირის და ნატოს წევრობას

„ბატონ პრემიერთან ჩვენ ასევე ვიმსჯელეთ, დეტალურად განვიხილეთ ჩვენი ქვეყნების მისწრაფება ევროინტეგრაციის მიმართულებით, რომ გავხდეთ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრები. ამ კონტექსტში მინდა აღვნიშნო „ტრიოს“ ფორმატის დაფუძნება. მაისში გაფორმდა მემორანდუმი ამის თაობაზე, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე და ახლა უკვე პრეზიდენტების დონეზე, ბათუმში, პირველი პრეცედენტი შეიქმნა „ტრიოს“ ფორმატის მონაწილეობის ფარგლებში. ჩვენ, სამ ქვეყანას — უკრაინას, მოლდოვას და საქართველოს შეგვიძლია მართლაც ბევრი წარმატების მაგალითი ვაჩვენოთ საერთაშორისო თანამეგობრობას და „ტრიოს“ ფორმატში დავუმტკიცოთ ჩვენს პარტნიორებს, რომ შეგვიძლია ვიყოთ წარმატებული სახელმწიფოები და მართლაც ვიმსახურებთ ევროკავშირის და ნატოს წევრობას.

ევროკავშირთან ჩვენ ინტენსიური უნდა გავხადოთ პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმები, საკითხები, რომელიც უკავშირდება ენერგეტიკას, ტრანსპორტს, ციფრულ ბაზარს, დაკავშირებადობას. ვფიქრობ, ეს ის საკითხებია, რომელიც ჩვენ უნდა წამოვჭრათ დ ერთობლივად ვიმუშაოთ“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„მინდა, მივესალმო და მივულოცო ბატონ პრემერ-მინისტრს პირველი ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში და მადლობა გადავუხადო, რომ ის დამთანხმდა, მონაწილეობა მიიღოს „ყირიმის პლატფორმის“ საინაუგურაციო სამიტში. დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგის, მეგობრის, ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი შესაძლებლობას მოგვცემს, რომ მოვახდინოთ ფოკუსირება ჩვენი პრაქტიკული ნაბიჯების განხილვაზე, ჩვენს ქვეყნებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის მიზნით.

ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, განგვეხილა ქართულ-უკრაინული ურთიერთობების ყველა ასპექტი — უსაფრთხოების, საგარეო პოლტიკური შემადგენლობიდან დაწყებული, ვაჭრობისა და ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობით დამთავრებული.

მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერისთვის, ასევე რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიის არაღიარებისთვის, დონბასზე რუსეთის აგრესიის დაგმობისთვის, აგრეთვე დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული აქტიური პოზიციისთვის. რუსეთის ფედერაციიდან გაძლიერებული ზეწოლის პირობებში ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით საქართველოს მხარდაჭერას, რომელიც ახლა არის ძალიან ძვირფასი და ღირებული იმ დროს, როდესაც უკრაინამ დააფუძნა წინააღმდეგობის ახალი ფორმატი — „ყირიმის პლატფორმა“. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მონაწილეობა „ყირიმის პლატფორმის“ სამიტზე შესაძლებლობას მოგვცემს, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება გავამახვილოთ, რომ აუცილებელია, იყოს კონსოლიდირებული ძალისხმევები, რაც უკავშირდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხებს“, — განაცხადა დენის შმიგალმა.

დენის შმიგალი: რუსეთიდან გაძლიერებული ზეწოლის პირობებში ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით საქართველოს მხარდაჭერას...

სასაზღვრო პოლიციის უფროსი თურქეთის სანაპირო დაცვის სარდალს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის დელეგაცია თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. შსს-ს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ შარაძე თურქეთის სანაპირო დაცვის ხელმძღვანელს, კონტრ-ადმირალ აჰმეთ ქენდირს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საზღვაო უსაფრთხოების საკითხებსა და ორი ქვეყნის სანაპირო დაცვის დანაყოფებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს. სასაზღვრო პოლიციის უფროსმა თურქულ მხარეს სანაპირო დაცვის პირადი შემადგენლობის მომზადებისა და მცურავი საშუალებების ტექნიკური განახლების კუთხით გაწეული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა.

ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის დელეგაციის წევრები ქალაქ სტამბოლში, თავდაცვის საერთაშორისო სამრეწველო გამოფენას (IDEF21) დაესწრნენ და უსაფრთხოების სფეროში არსებულ ტექნოლოგიურ სიახლეებს გაეცნენ. საერთაშორისო გამოფენა, რომელიც წელს მეთხუთმეტედ ჩატარდა, თურქეთის შეიარაღებული ძალების ფონდის მიერ ორ წელიწადში ერთხელ იმართება და თავისი მასშტაბით მსოფლიოს წამყვან ოთხეულშია.

ბატალიონმა დასკვნითი სწავლება ჩაატარა

საქართველოს **თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) მე-9 როტაციის ფარგლებში, თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 ქვეითმა ბატალიონმა საბრძოლო სროლებით დასკვნითი სწავლება ჩაატარა.**

ასეულის დონის ქვედანაყოფმა ვაზიანის პოლიგონზე შეტევითი ოპერაციები განახორციელა. მოიერიშე ელემენტმა დაბრკოლებები გაიარა, მოწინააღმდეგეზე იერიში განახორციელა და ობიექტი დაიპყრო. სწავლებას საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელი პირები აკვირდებოდნენ. პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 ქვეითი ბატალიონი სწავლებას საბრძოლო მომზადების ცენტრის ბაზაზე 13 კვირის განმავლობაში გადიოდა. განსაკუთრებული ყურადღება ქვედანაყოფის ტაქტიკურ მოქმედებასა და დავალებების სწორად შესრულებას დაეთმო. ბატალიონს ქართველი და ამერიკელი ინსტრუქტორები ამზადებდნენ.

GDRP-ის ფარგლებში საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებისთვის მომზადება 9 ბატალიონმა გაიარა. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფების მზადყოფნის დონის ამაღლებას, ასევე უზრუნველყოფს მათი დაკომპლექტების, წვრთნისა და აღჭურვის შესაძლებლობების განვითარებას.

ტოქსიკურ, მავნებელ ოპოზიციას ხალხი ვერასოდეს ვერ შეიყვარებს!

„ოპოზიციის ერთიანობა, როგორც ადრე, ახლაც, მყიფე და არამყარია. ე.წ. ერთიანი კანდიდატების თვალსაზრისით, ჩვენ სიურპრიზებს კიდევ დაველოდოთ. ზუსტად 2020 წლის სცენარი მეორდება. მაშინაც ოპოზიცია თითქოს კანდიდატებზე შეთანხმდა, საბოლოო ჯამში კი, აღმოჩნდა, რომ ვერაფერზეც ვერ შეთანხმდა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ზუსტად იგივე პროცესები მიდის, რაც საპარლამენტო არჩევნების წინ - მოჩვენებითი ერთიანობა, ერთმანეთთან გამწვავებული შიდა დაპირისპირება და ძალიან დიდი სამზადისი იმისთვის, რომ 3 ოქტომბერს არჩევნები გაყალბებულად გამოცხადდეს.

ის უღიმღამო კანდიდატები, რომელთა მათგანის შესახებ რეგიონებში არც არაფერი იციან, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანური რესურსების მხრივ შიმშილი აქვთ. ყველაზე სასაცილო და ტრაგიკული კი ნაცოპოზიციისთვის გიგი უგულავას კანდიდატურაა. წარმოიდგინეთ, დედაქალაქის ყოფილი მერი ვერ ბედავს, თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატადაც კი თავი წამოაყენოს, ამიტომ კენჭს ფოთში იყრის. გვახსოვს შუალედურ არჩევნებში ვანსა და ხონში კენჭს რომ იყრიდა, შარშან – ზუგდიდში. წარმოიდგინეთ ამ ადამიანის პოლიტიკური ბიოგრაფია როგორი ტრაგიკულია, რადგანაც წინ და უკან ასე დარბის და 2%-იან ნიშნულსაც ვერ იღებს“, – ამბობს გია აბაშიძე და დასძენს, რომ ოპოზიციის სქემა ნაცნობია, ამიტომაც ეს მცდელობაც ისევ ისე დასრულდება, როგორც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დამთავრდა. ანალიტიკოსის თქმით, ხელისუფლებას ის ოპოზიცია უგებს, რომელიც მასზე კონსტრუქციული და საქმიანია, ხოლო ოპოზიცია ტოქსიკური გარემოთი მოსახლეობის დაინტერესებას ვერ შეძლებს.

„ამომრჩეველს საარჩევნო პროგრამა და საქმიანი პოლიტიკოსები უნდა, ამიტომაც ამ უღიმღამო პოლიტიკური სახეებიდან არაფერი გამოვა“, – ამბობს **აბაშიძე.**

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** ამბობს, რომ ოპოზიციას, მიუხედავად იმისა, რომ მძლავრი ფინანსური რესურსი აქვს, ბევრი ამომრჩეველი და 3-მდე ოპოზიციური ტელევიზია აქვს, საზოგადოებას ახალ და საინტერესო სახეებს ვერ სთავაზობს. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ოპოზიცია იძულებულია ისევ ძველი სქემა დაატრიალოს, რაც კვლავ წაგების მაუწყებელია. მისი აზრით, მით უმეტეს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც ამხელა რესურსები აქვს არჩევნებში, დამოუკიდებლად და მწყობრად უნდა გამოდიოდეს. ამის მაგივრად კი, ენმ კვლავ მოჩვენებით ერთიანობას ებღაუჭება, რომელიც ისევ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სცენარის გასათამაშებლად სჭირდება.

„უკვე მერამდენე არჩევნებია პროგრამებს ვერ ვხედავთ. მოსახლეობასთან არანაირი სათქმელი არ აქვთ, რატომ უნდა აირჩიონ ისინი და არა სახელისუფლო კანდიდატები. ხალხს არ უხსნიან გასაგებად უკან ხელისუფლებაში ისევ რატომ უნდა დააბრუნონ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიციურ ფლანგზე სრული გაუგებრობაა. რომელი პოლიტოლოგი იტყვის, რომ 2 კვირის წინ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად გაიხსნა და ასეთი ე.წ. მძლავრი მეორე ოპოზიციური ძალა უფერულია. მესმის, როცა მთავარი კონკურენტები ერთმანეთს ელოდებიან, ვინ ვის სად დაასახელებს. თუმცა დრო საკმაოდ ბევრი გავიდა და ახლა კანდიდატების დასახელება ძალან დაგვიანებულია, თანაც ისეთი პოლიტიკური ფიგურების, რომლებიც ხალხისთვის მიუღებელია. იციან, რასაც იტყვიან და გააკეთებენ. ამიტომ ამომრჩევლის დაინტერესებას ვერ მოახერხებენ“, – ამბობს სალუქვაძე.

მისივე თქმით, ნათელაშვილის ფანჩატურის დაშლის შემდეგ, ენმ-ს ისევ ახალი ფანჩატურის შეკრების მცდელობა აქვს. სალუქვაძე ამბობს, რომ ეს გაერთიანება ღიმილის მომგვრელია, თუმცა „ნაციონალებს“ ცალკე სხვა არანაირი რესურსი არ აქვთ და ამიტომაც ოპოზიციურ ფლანგზე ერთობის ილუზიას ქმნიან. ოპოზიციას შეეძლო, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებულიყო და ყველგან ერთი კანდიდატი დაეყენებინათ. ამასაც ვერ ახერხებენ და მხოლოდ 4-მა პარტიამ შეძლო რაღაც „შეთანხმებამდე“ მისულიყვნენ. ესეც იმდენად მყიფეა, რომ შესაძლოა, უახლოეს მომავალში ისევ დაიშალონ

„ჩრდილოვანი კაბინეტის შექმნას აპირებდნენ და ეს იდეაც ჩაეშალათ. ამიტომ ოპოზიციაში სრული არეულობა და ყველა პარტია კვლავ საკუთარი თავის გადარჩენაზე იზრუნებს“, – ამბობს ამირან სალუქვაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

რეგიონებში გიორგი გახარია აჯობებს „ნაცმოძრაობას“!

წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად განიხილება ამა თუ იმ პარტიისა და კანდიდატის რეიტინგი. ანალიტიკურ და პოლიტიკურ წრეებში, თითქმის ერთხმად თანხმდებიან, რომ თბილისში კახა კალაძე უპირობოდ გამარჯვებულია და ოპოზიციურ ფლანგზე მას ღირსეული მეტოქე არ ჰყავს. შესაბამისად, დედაქალაქში ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნება“ მოიგებს.

რაც შეეხება რეგიონებს, აქ ხმები სხვანაირად ნაწილდება და რამდენიმე პარტიის უპირატესობა იკვეთება. ექსპერტები გამოყოფენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და პარტია „გიორგი გახარია – საქართველოსთვის“. ანალიტიკოსთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ რეგიონებში ერთი მხრივ „ქართული ოცნების“ კონკურენტი, დიდი ალბათობით, „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება, იმ შემთხვევაში, თუკი მეორე ტურიც ჩატარდება. თუმცა, მეორე ნაწილი გიორგი გახარიას პარტიას ასახელებს.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ მოსახლეობას „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდში მომხდარი ყველა სიავე ახსოვს და შესაბამისად, მისი თქმით, მეორე ტურის შემთხვევაში, უპირატესობა გიორგი გახარიას პარტიას ექნება, რომელიც „ქართული ოცნების“ მთავარ კონკურენტად დარჩება. საყვარელიძის თქმითვე, რეგიონებში, ბოლო პერიოდში გიორგი გახარიას პარტია საკმაოდ გააქტიურდა.

„მას შემდეგ, რაც თბილისის თემა „გაირკვა,“ რა თქმა უნდა, რეგიონების თემა დგება. ხმები სამად გადანაწილდა, მაგრამ მგონია, რომ ამ გადანაწილებაში „ნაციონალურ მოძრაობას“ ნაკლები შანსი აქვს. მაგალითად, სამეგრელოს რეგიონზე საუბარია, რომ „ნაციონალებს“ დაუჭერენ მხარს, მაგრამ ერთ-ერთი არსებითი ზიანი სწორედ რეგიონებს მიადგა – მათთან გაჩნდა ბევრი პრობლემა. ასევე, ვიცით სამეგრელოში რაც ხდებოდა სამართალთან დაკავშირებით – დაპატიმრება და წამება...

ბოლო პერიოდში აქტიურობა უფრო მეტად ახასიათებს გიორგი გახარიას, გამუდმებით რეგიონებში მოძრაობენ. „ქართული ოცნება,“ რა თქმა უნდა, წამყვანი პარტია იქნება და იქ შესაძლოა, მეორე „საპრიზო“ ადგილზე სწორედ გახარიას პარტია აღმოჩნდეს და არა „ნაციონალების,“

– განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

ანალიტიკოს **ვახტანგ ძაბირაძის** ვარაუდით, იმის მიუხედავად, რომ გარკვეულწილად, გიორგი გახარიას გუნდის მეტ აქტიურობას ვხედავთ, მეორე ტურის შემთხვევაში, მთავარი წამყვანი ერთი მხრივ „ქართული ოცნება,“ ხოლო მეორე მხრივ, „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება.

„შანსები ბევრ რამეზეა დამოკიდებული – კანდიდატზე, პარტიაზე, სტრუქტურაზე... გასაგებია, რომ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ სტრუქტურები აქვთ რეგიონებში და მათ კანდიდატებს გარკვეული გავლენა ექნებათ, მაგრამ არ ვიცით, გახარიას აქვს თუ არა პარტიული ჯგუფი, მაგალითად – ჩოხატაურში.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი პირველ ტურში თუ ვერა, მეორე ტურში ყველგან იქნება. შანსი ვის რა ექნება, ეს უკვე დამოკიდებულია ადგილობრივ სიტუაციასა და კანდიდატებზე. გამომდინარე იქიდან, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებასაც“ პარტიული სტრუქტურები აქვთ გამართული, მაინც ამ ორი პარტიის დაპირისპირება იქნება რეგიონებში ძირითადად“, – განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

„ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ „ერთადერთი პასუხისმგებლიანი ძალა დღეს ქვეყანაში არის უალტერნატივო – „ქართული ოცნება.“ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მმართველი გუნდის მიღწევებს სჭირდება შენარჩუნება და განვითარება.

„ჩვენ გვაქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი წარმოება. გვაქვს გეგმები ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებით, თუ როგორ უნდა მივაწოდოთ კიდევ უფრო ხარისხიანი სერვისი ჩვენს მოქალაქეებს. ამისთვის ჩვენ გვჭირდება გრძელვადიანი სტაბილურობა და მშვიდობა. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავრობის, ჩვენი ხელისუფლების დროს, ერთადერთი უიშვიათესი გამონაკლისი პერიოდია, როდესაც უწყვეტი მშვიდობა და სტაბილურობა აქვს ჩვენს მოქალაქეებს. ბოლო 8-წლიანი პერიოდი არის ერთადერთი გამონაკლისი, როცა ქვეყანას არ ჰქონია ომი. ჩვენმა მოსახლეობამ ნახა და გამოცადა ყველაფერი, შიდა დაპირისპირება, სამოქალაქო ომი, ომი აფხაზეთსა და ოსეთში, ახლაც ომი ცხინვალის რეგიონში, ამიტომ, ერთადერთი პასუხისმგებლიანი ძალა დღეს ქვეყანაში არის „ქართული ოცნება“. ეს არის პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურება, ჩვენი ხელისუფლების, თქვენი და ჩვენი ყველასი ერთად“, – თქვა ღარიბაშვილმა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს.

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა **გიორგი გახარიამ** განაცხადა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის საჭიროა, როგორც კეთილსინდისიერი ახალგაზრდები, ისე გამოცდილი პროფესიონალები.

„ჩვენ არ გვინდა ქვეყნის უკუსვლა, სამწუხაროდ, ასეთი ტენდენციები შეიმჩნევა. ჩვენ უნდა წავიდეთ წინ, ჩვენი ბავშვების და ჩვენი მომავალი თაობისათვის. არავინ ვლანძღოთ, არავის ვეჩხუბოთ, არავის ვეომოთ – უბრალოდ ვიშრომოთ, ლანჩხუთის, გურიის და ამ ქვეყნის – ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერებისთვის – ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი“, – აღნიშნა გიორგი გახარიამ გურულებთან შეხვედრის დროს.

ვნახოთ, არჩევნებამდე ორმოციოდე დღე დარჩა!

ნიკო ჩოხელი

ლადო ბოჭაძე:

საქართველოს მხარეებში უფრო ადვილი იქნება „ოცნებისთვის“ მოგება!

ამ დღეებში რამდენიმე კითხვით მივმართეთ ანალიტიკოს ლადო ბოჭაძეს.

— როგორ ფიქრობთ, თვითმმართველობის არჩევნებმა შესაძლებელია „ნაციონალური მოძრაობა“ გაიყვანოს პოლიტიკური ველიდან, გაქვთ ეს მოლოდინი?

— რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური ველიდან არ და ვერ გავა. ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური ძალა, კონგლომერატია, რომელსაც აქვს საკუთარი მედია, სამოქალაქო გუნდი, ბიზნეს-მხარდაჭერა, პარტიას წარმოადგენენ ბიზნესმენები, რომელთა ბიზნესს არასოდეს არავინ არ შეხებია. ვიცით, ჩვენ ეს მილიონერები, რომლებიც აფინანსებენ ამ პარტიას. ამიტომ, რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობა“ მარტივად ვერ გავა პოლიტიკური ველიდან, მაგრამ, ალბათ, თვითმმართველობის არჩევნებიდან უნდა ველოდოთ იმ შედეგებს, რომელიც ჩვენ ვნახეთ საპარლამენტო არჩევნებზე, როცა ნახევარმა მილიონმა ამომრჩეველმა ხმა არ მისცა „ქართულ ოცნებას“ და არც „ნაციონალურ მოძრაობას“.

— იგივე პროცესი მიდის ახლაც?

— თვითმმართველობის არჩევნებმა უნდა გაამყაროს რწმენა, რომ ორპოლუსიანობა დასრულდეს და „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, არსებობენ სხვა პოლიტიკური ძალები ოპოზიციაში, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ პარლამენტში. იმიტომ, რომ დაბალი საარჩევნო ბარიერია. იცით, რომ საპარლამენტო არჩევნებზეც დაბალი ბარიერი შენარჩუნდება, ეს პროცესი მიდის პარლამენტში, ანუ სიცოცხლისუნარიანი ე.წ. პატარა პარტიები შეძლება ისევ იყვნენ წარმოდგენილი პარლამენტში.

დაიწია ბარიერმა. დედაქალაქში 2,5%, რეგიონებში 3%. აქაც ამ პატარა პარტიებმა ამომრჩეველს უნდა აჩვენონ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, ოპოზიციური ამომრჩევლისთვის არსებობს არჩევანი. შესაბამისად, ეს ხმები ყველა შემთხვევაში უნდა დააკლდეს „ნაციონალურ მოძრაობას“, რაც თავისთავად მაქსიმალურად დაასუსტებს „ნაციონალური მოძრაობის“ დომინირებას ოპოზიციურ სივრცეში. თუმცა, არც „ნაცმოძრაობა“ არის გულხელდაკრეფილი, ზოგს მოღალატეს ეძახის, ზოგს გაყიდულს, სწორედ იმიტომ, რომ არ წაართვან ოპოზიციური ხმები.

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბარიერი დაწეულია და განსაკუთრებით რეგიონში, შესაძლებელია „ნაციონალურ მოძრაობას“ ხმები წაართვას გახარიას პარტიამ და სწორედ გახარიას პარტიამ ჩაანაცვლოს „ნაციონალური მოძრაობა“, ამის შანსები რამდენად არის?

— რაც შეეხება გახარიას პარტიას, მან თავისი რეიტინგი უკვე აჩვენა, რაც კვლევებშიც გამოჩნდა. გახარიას პარტიამ წაიღო „ქართული ოცნების“ ხმები, მაგრამ ასევე წაიღო დანარჩენი ოპოზიციის ხმებიც. გახარიას პარტიამ შეიძლება ნაკლებად დააზარალოს „ნაციონალური მოძრაობა“ იმ თვალსაზრისით, რომ მათი რადიკალური და სტაბილური ამომრჩევლისთვის ასევე მიუღებელია გახარია. თუმცა, გახარიამ შეიძლება მოახერხოს და ხმები წაართვას სხვა მცირე-მცირე პარტიებს. ვფიქრობ, რომ ასეც იქნება და ამ არჩევნებზე გავა კიდეც მესამე ადგილზე.

— ანუ, შესაძლებელია, რომ გიორგი გახარია ჩამოყალიბდეს მესამე პოლიტიკურ ძალად?

— არ არის გამორიცხული. დიდი შანსია, რომ თვითმმართველობის არჩევნებმა ეს შედეგი მოიტანოს გახარიასთვის, რაც კიდევ უფრო მეტად გააჩენს იმის პერსპექტივას, რომ ოპოზიციური ელექტორატი გადაერთოს არა მცირე პარტიებზე, არამედ მსხვილ ოპოზიციურ პარტიაზე. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეძლება საკუთარი მყარი ელექტორატი შეინარჩუნოს, მაგრამ ოპოზიციურ ველზე მსხვილი მოთამაშის გამოჩენა რაღაცა სხვა განწყობებსაც გააჩენს, ზოგადად, ოპოზიციურ ელექტორატში. ეს ფუნქცია ნამდვილად შეუძლია შეასრულოს გახარიამ.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, სანამ სააკაშვილი ცოცხალი იქნება და იაქტიურებს პოლიტიკაში, მას ექნება გავლენა და ეყოლება საკუთარი მყარი ელექტორატი. დღეს ეს ამომრჩეველი სააკაშვილის ელექტორატია და არა „ნაციონალური მოძრაობის“. არავის არ ახსოვს გრიგოლ ვაშაძე, რომელიც ამ პარტიის თავმჯდომარე და საპრეზიდენტო კანდიდატი იყო. ხვალ შეიძლება მელიაც აღარ იყოს თავმჯდომარე და ანზორის გარდა არავის გაახსენდება ოდესმე „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომ იყო. ეს სააკაშვილის პარტიაა. მელია მოძრაობს, ზუგდიდში მამა დაასახელა კანდიდატად, მაგრამ ისინი ხომ მაინც საკაშვილზე არიან დამოკიდებულები...

— მამაშვილობა ქართული პოლიტიკისთვის ახალი არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში რა კრიტერიუმებით მოხდა კანდიდატების ასე განსაზღვრა, მით უფრო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ სტაბილური საარჩევნო სტრატეგია არ აქვს და ეს ჩანს ყველა ეტაპზე...

— ეს საინტერესო ამბავია იმ თვალსაზრისით, რომ მსოფლიო პოლიტიკა იცნობს ფაქტებს, როცა მამას მოუყვანია შვილი პოლიტიკაში, ან შვილი მამის გზას გაყოლია. საქართველოში დედა-შვილის მაგალითიც გვაქვს, აგერ ბურჯანაძე-ბიწაძე; მამა-შვილი გაბაშვილები, ასევე ნათელაშვილები და ა.შ. მაგრამ შვილს მამა შემოეყვანოს პოლიტიკაში, ეს მეტად ორიგინალური ამბავია.

— ანზორ მელიას როგორც პოლიტიკოსს, არავინ იცნობს, მას იცნობენ როგორც ექიმს...

— ვფიქრობ, ეს ერთგვარი შანსია მელიასთვის, უკანა რიცხვით „დაადასტუროს“, რომ სამეგრელოში სერიოზული მხარდაჭერა აქვს.

— რას გულისხმობთ?

— ჯერ კიდევ 2017 წელს იყო მელიაზე საუბარი, რომ ის უნდა ყოფილიყო ზუგდიდის მერობის კანდიდატი, მაგრამ მაშინ წარადგინეს სანდრა რულოვსი. 2020 წელსაც იყო საუბარი. სამეგრელო, სადაც ტრადიციულად „ნაცმოძრაობას“ მყარი დასაყრდენი აქვს, არ უნდოდა, რომ ამ წარმატებაში ვინმე შეცილებოდა. ახლა საუბარია იმაზე, რომ რა შედეგიც დაიდება, ეს დიდწილად დამოკიდებული იქნება მელიაზე, რომელსაც შანსი მიეცა საკუთარი ავტორიტეტი გაზომოს სამეგრელოში.

— ზუგდიდი არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი და ამას ადასტურებს ყველა არჩევნები, 2017 წელს ეს ვნახეთ სანდრა რუსლოვსის მაგალითზე. მაგრამ მელიას რა შანსები აქვს?

— გეთანხმებით, სანდრა იყო კარგი მაგალითი, რომელიც სააკაშვილის მეუღლე იყო, მაგრამ ვიცით, რა შედეგით დასრულდა. იგივე განმეორდა 2020 წელს. რა თქმა უნდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს თავისი ელექტორატი, მაგრამ არა ისეთი, რომელიც გადამწყვეტ სიტყვას იტყვის. მით უმეტეს ამ ოპოზიციურ სივრცეში შესულია გახარია. თვითონ ანზორ მელია, რომელიც დამსახურებული ექიმია და ძალიან ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელ საქართველოში, ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ მათთვის იმის წარმოდგენა, რომ ანზორ მელია 75 წლის ასაკში საკუთარ საქმეს მიატოვებს, დაჯდება ზუგდიდში და იმაზე იზრუნებს — გარე განათება და წყალი გაიყვანოს, ასფალტი მოაპირკეთოს, ან სასაფლაოს ღობეების კეთილმოწყობაზე იზრუნოს, რა თქმა უნდა, არავინ დაიჯერებს. მისი, როგორც ექიმის პატივისცემით შეიძლება ბევრმა ადამიანმა შემოხაზოს, მაგრამ ყველას ეცოდინება, რომ ზუგდიდში არ გადასახლდება მელია, გულის ოპერაციის ნაცვლად, ბაგა-ბაღების მშენებლობას, ან ღობეების შემოკეთებას არ დაიწყებს.

— „როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება 40%-ს ვერ მიუახლოვდება“, — ამბობს ნიკა მელია. საარჩევნო კამპანია, რომელიც დაწყებული აქვს ხელისუფლებას, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ რეგიონებში გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება? თბილისს რომ კალაძე უპირობოდ იგებს, ამაზე საუბრობენ...

— პირიქით, რეგიონებში უფრო ადვილი იქნება „ქართული ოცნებისთვის“ მოგება. იმიტომ, რომ როგორც წესი, ყველა ხელისუფლებას ქალაქებში უჭირს მოგება. მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში ამდენი რამე გააკეთა კალაძემ, მისთვის ხმის მიცემის მოტივაცია მაინც ის არის, რომ — კალაძეა. ლიფტი გამოუცვალე, სახურავი შეუცვალე, ეზოში სკვერი გაუკეთე, ეს ქალაქელებისთვის არ არის მოტივაცია ხმა მისცენ, ან არ მისცენ. სხვა ღირებულებებით საზღვრავენ ქალაქის ამომრჩევლები და არა მარტო დედაქალაქში, არამედ იგივე ქუთაისში, ბათუმში, ფოთში და ა.შ.

რეგიონებში უფრო მარტივია, იმიტომ, რომ ბევრი პროექტები ხორციელდება და როგორც წესი, უფრო მადლიერები არიან ხელისუფლების. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას არ გაუჭირდება რეგიონებში წარმატების მიღწევა. მელიას განცხადება, რა თქმა უნდა, უკავშირდება საარჩევნო კამპანიას. მელიას ამ განცხადებაზე აეწყობა მათი სოციოლოგიური კვლევა — ჩვენ ვვარაუდობდით მაქსიმუმ 40 პროცენტს და როგორ აიღეს 43%?

მერე ადვილად გასაპროტესტებელი იქნება ოპოზიციისთვის — არჩევნები გაყალბესო!...

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

დედაქალაქში ტაქსების დიქტატურა დამყარდა!

„ვაკიდან დიდუბემდე ტაქსმა 50 ლარი მოითხოვა (დაუჯერებლია, მაგრამ რეალობაა).

ბოლო ხუთი დღის განმავლობაში თბილისში ტაქსით მომსახურეობა, საშუალოდ, 80%-ით გაძვირდა, — ამის შესახებ ინფორმაციას, საკუთარ კვლევაზე დაყრდნობით, CNews ავრცელებს. თუმცა, კვლევა რად უნდა იმას, რასაც ახლა ყველა მგზავრი გრძნობს. ტრანსპორტის შეზღუდვამ ხალხი ფინანსურადაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. სატაქსო კომპანიებმა და კერძო ტაქსებმა ყოველგვარ მორალურ ზღვარს გადააჭარბეს და ფასები გააორმაგეს.

როგორც თავად ტაქსის მძღოლები ადასტურებენ, ფასების ზრდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებამ და მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია.

მაგალითისთვის, ტაქსით მომსახურება მარშრუტზე ავლაბარი-დიდუბე თუ 16 აგვისტომდე, მინიმუმ — 6 და მაქსიმუმ — 10 ლარის ფარგლებში იყო, 16 აგვისტოს შემდეგ კომპანიები იმავე მარშრუტზე 12-20 ლარს ითხოვდნენ.

„გაიზარდა მოთხოვნა. ქუჩებში საცობებია. შესაბამისად, გადაადგილების ხანგრძლივობა გაგვეზარდა და ამიტომ კომპანიამ მიიღო ფასების ზრდის გადაწყვეტილება“, — განაცხადა „ბოლტის“ კომპანიის მძღოლმა. **„იანდექს ტაქსის“ მძღლების განმარტებით, მათთან ფასების ზრდა, დაახლოებით, 50-60%-ის ფარგლებშია.**

კომპანია „მაქსიმის“ ტაქსიზე ცალკეულ მარშრუტებზე 100-150%-იანი ზრდა აღირიცხა. კომპანია 6-ლარიანი ღირებულების მარშრუტზე კლიენტებს მომსახურებას 15 ლარად სთავაზობდა. კერძო ტაქსის მძღოლებმა მომსახურება 60-70%-ის ფარგლებში გააძვირეს.

იგივე მდგომარეობა დასტურდება საქართველოს რეგიონებში, სადაც ტაქსის მომსახურებაზე ფასების ზრდა 50-60%-ის ფარგლებში მერყეობს.

მომხმარებლები აღშფოთებას ვერ მალავენ. იურისტმა **ვარლამ ხათრიძემ** შემდეგი სახის სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნა: **„ვაკიდან დიდუბემდე ტაქსმა 50 ლარი მოითხოვა (დაუჯერებლია, მაგრამ რეალობაა). ასე გამოხატავენ ტაქსის კომპანიები და ტაქსის მძღოლები პანდემიის დროს თავიანთ მოქალაქეობრივ პოზიციებს. ყოჩაღ, ასეთი საზოგადოება აღმოვჩნდით! 2008 წლის ომის გმირების პარალელურად, პანდემიის „გმირებიც“ გვყავს! სირცხვილი!“**

სატაქსო კომპანია „ქართულ ტაქსის“ დამფუძნებელი **ედუარდ ლომიძე** აცხადებს, რომ ტარიფის გაზრდა შეზღუდვებიდანაა გამოწვეული და ეს მდგომარეობა მანამდე შენარჩუნდება, სანამ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ამოძრავდება.

„დღეს ბაზარზე უმეტესწილად უცხოური კომპანიები ოპერირებენ. მძღოლს შეუძლია ნებისმიერი კომპანიის აპლიკაცია გადმოწეროს და სადაც მაღალი ტარიფია იმ კომპანიის გამოძახებები აიღოს. ყველა უცხოურმა კომპანიამ ტარიფები მნიშვნელოვნად გაზარდა, მძღოლები ჩვენთან ფაქტობრივად, აღარ მუშაობდნენ და მათ დასაბრუნებლად ტარიფი 1-2 ლარით გავზარდეთ. გვესმის მომხმარებლისაც და ტარიფებს არ გავზრდიდით, თუმცა გამოძახების დროს მძღოლები მაღალი ტარიფით მოქმედი კომპანიის გამოძახების მიღებას ანიჭებენ უპირატესობას. იძულებული ვარ მოვუმატო, რათა მძღოლებმა ჩვენს კომპანიაში შემოსულ გამოძახებაზე მიაკითხონ“, — განუცხადა „ბიზნეს მედიას“ ედუარდ ლომიძემ. აშკარაა, რომ სატრანსპორტო განუკითხაობა მინუმიმ 5 სექტემბრამდე გაგრძელდება და თუკი სამომავლოდ ქვეყანაში შეზღუდვები კიდევ უფრო გამკაცრდა, სატაქსო მომსახურება ალბათ მორიგ ანტირეკორდს დაამყარებს.

გეძა დანელია

ეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემაა!

ნიადაგი, მარცვალი და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს

გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემაზე, რომლებიც გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დონეზე ვერ გადაწყდება. FAO-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებით მსოფლიოში მოსალოდნელია სასურსათო კრიზისი. FAO აფრთხილებს ქვეყნებს – „COVID-19- ის პანდემიის დროს არ დაავიწყდეთ, რომ სასურსათო კრიზისიც ისეთივე რისკებს შეიცავს, როგორც თავად ეპიდემიური აფეთქება“.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოება მართლაც მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული. სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი დონე, მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული დადებითი ძვრებისა, ვერც ერთ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს. „გაეროს“ რეზოლუციის შესაბამისად ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ ითვლება თუ მოხმარებული პროდუქტის 20%-ზე მეტი იმპორტირებულია.

საქართველოში – სურსათის 70%-ზე მეტი იმპორტია!... სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირველი, განსაკუთრებული და შეუცვლელი ფაქტორი ნიადაგია. ნიადაგის გამოფიტვა, მისი დეგრადაცია – ეს უდიდესი პრობლემაა ქვეყნისთვის და, პირიქით, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლება, ესაა ძირითადი, რაზეც დგას ყველა სოფლის მეურნეობის წარმოება.

როგორი მდგომარეობა გვაქვს დღეისათვის საქართველოში ნიადაგებთან დაკავშირებით?

ნიადაგის, როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალების დაცვა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად ითვლება, რაზეც მიუთითებს 1994 წელს მიღებული საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და 2003 წლის კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა- გაუმჯობესების შესახებ“. აღნიშნული კანონები მოუწოდებს მთავრობას აქტიური როლი შეასრულოს ნიადაგების კონსერვაცია-გაუმჯობესების საქმეში.

სინამდვილეში, ჩვენს ქვეყანაში 90-იანი წლებიდან დაწყებული, ნიადაგი სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა და დღეისათვის მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს დეგრადირებულ ნიადაგებს, რომლებიც ს/ს სავარგულების 35%-ზე მეტს შეადგენს; სახნავი ფართობის 70-80% ღარიბია საკვები ელემენტებით, რაც ს/ს კულტურების დაბალ და უხარისხო მოსავალს განაპირობებს. ამიტომ არის, რომ ჩვენს მცირემიწიან ქვეყანაში მიწის მნიშვნელოვანი ფართობები დაუმუშავებელი და დაუთესავია. 1990 წელს მთლიანი ნათესი ფართობი 701,9 ათას ჰექტარს შეადგენდა; 2014 წელს – 274,9 ათასს; 2015 წ. – 263,7 ათასს; 2016 წ. – 240 ათასს; 2017 წ. – 220,3 ათასს; 2019 წელს – 206,7ათასს. როგორც მოტანილი ციფრებიდან ჩანს, ნათესი ფართობი ყოველწლიურად მცირდება. ამრიგად, ათასობით ჰა მიწა დაუთესავი, მიტოვებული, გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფია. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი არ არიან ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ ვერანაირი რეფორმა სოფლის მეურნეობის დარგში ვერ იქნება წარმატებული თუ არ დავიწყეთ იგი პირველ რიგში ჩვენი დეგრადირებული ნიადაგების, ჩვენი მიწის ფონდის მოწესრიგებით.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხორბლის წარმოების მაჩვენებელია.

ამ თვალსაზრისით საქართველოში მძიმე მდგომარეობაა – ქვეყანა, რომელიც მსოფლიოში ხორბლის კულტურის წარმოშობის ერთ-ერთი პირველადი კერაა და სადაც პურის მოყვარული და მისი მოხმარებითაც გამორჩეული ხალხი ცხოვრობს, მოხმარებული ხორბლის მხოლოდ 10-15%-ს ვაწარმოებთ. **საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი პურით ცდილობს შეივსოს დღიური რაციონი. პურპროდუქტების ნაწარმი კვებაში ენერგეტიკული ღირებულების 60-62%-ს შეადგენს, მაშინ როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს ციფრი 15%-ს არ აღემატება.**

შემოტანილმა, უმეტეს შემთხვევაში უხარისხო, საფურაჟე მარცვალმა, მთლიანად დაიპყრო ჩვენი შიდა ბაზარი.

პურით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყველა სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია, მით უმეტეს, თუ მას შესაბამისი რესურსი გააჩნია. ეს პრობლემა ყველაზე უფრო „მოკლევადიან“ გადაწყვეტას ექვემდებარება. საქართველოში იმის რეალური შესაძლებლობებია, რომ საკუთარი წარმოების მარცვლით 70-80%-იანი უზრუნველყოფის საკითხი უახლოეს წლებში გადაიჭრას. იგი თავისი მნიშვნელობით სიღარიბის დაძლევის ტოლფასია. ამჟამად მიტოვებული, დაუთესავი ათასობით ჰექტარი (300-400 ათასზე მეტი ჰა) სახნავი მიწის გაკულტურება, სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება, მაღალმოსავლიანი სელექციური ჯიშების გამოყენება წარმატებით გადაწყვეტს ქვეყნის ხორბლით უზრუნველყოფის ამოცანას.

საქართველოში ხორბლის წარმოების გაზრდა უნდა მოხდეს:

1) ნათესი ფართობის – 160-180 ათას ჰამდე გაზრდით;

2) გენეტიკის მიღწევებისა და 3) აგროტექნოლოგიის დახვეწისა და გაუმჯობესების ხარჯზე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ინტენსიური მიწათმოქმედებაა.

ამრიგად, მოკლედ რომ შევაჯამოთ, ვიტყვით შემდეგს:

1. საქართველომ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აღიაროს. დაუმუშავებელი, მიტოვებული, გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფი ნიადაგების ნაწილი ზოგი დამლაშებული (205 ათასი ჰა), ზოგი ეროზირებული,(1 მილიონამდე ჰა), დაჭაობებული (220 ათასი ჰა) ძლიერ მჟავე (37ათასი ჰა), ზოგი სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების შედეგად წყობიდან გამოსული ნიადაგებია (10 ათას ჰა-ზე მეტი). ასეთი ნიადაგების გაკეთილშობილება სპეციფიკური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს და იგი დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. **ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, ამიტომ, ფინანსური დანახარჯები პირველ ეტაპზე, მიწაზე საკუთრების მიუხედავად, სახელმწიფომ უნდა აიღოს.**

2. ხორბლის წარმოება აღიარებული უნდა იქნეს სტრატეგიულ მიმართულებად. მიწის ფონდის მოწესრიგების მიზნობრივი პროგრამის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი იქნება მომზადდეს და წარმატებით განხორციელდეს მიზნობრივი პროგრამა „მარცვალი“, რომელიც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საძირკველია.

ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი პრობლემების წარმატებით გადაჭრა მეცნიერების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

გასული საუკუნის 40-იან წლებში განსაზღვრეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების პრობლემებზე ორიენტირებული ინსტიტუტის დაარსების აუცილებლობა და 1946 წელს დაარსდა „საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტი“, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მეცნიერთა ახალგაზრდა თაობების აღზრდის საქმეში. ანალოგიური სამეცნიერო დაწესებულება არსებობს როგორც მაღალ განვითარებულ, ისე, განვითარებად ქვეყნებში. ერთადერთი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში სადაც იგი გაუქმდა (2010-2011წ.წ.) საქართველოა.

ქვეყნის დღევანდელმა ხელისუფლებამ, განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა გამოაცხადა, აუცილებლად მიგვაჩნია, აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული – „ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის“ აღდგენა, რომლის ძირითადი მიზანი იქნება: – საქართველოს მიწის ფონდის ამჟამინდელი მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლა; მისი დაცვისა და შენარჩუნების გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის მომზადება; დაბალნაყოფიერი, პრობლემური ნიადაგების (ეროზირებული, ჭარბტენიანი, დამლაშებული და ა.შ.) ნაყოფიერების აღდგენა – გაუმჯობესება, როგორც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველი.

მართალია, 2014 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნა სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, სადაც ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია „ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახური“, მაგრამ, იგი თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვერ შეასრულებს დარგობრივი ინსტიტუტის ფუნქციებს.

„სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა“, – ასე მიაჩნიათ ევროპაში.

გოგოლა მარგველაშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი

ბიზნესს გაღასახადები ახრჩობს!...

მსოფლიოში ხორბალი ისევ ძვირდება. საქართველოში ფასის გადახედვა ოქტომბრამდე არ იგეგმება, მაგრამ შემდეგ უკვე, შესაძლოა, ასოციაციამ ხელისუფლებას სუბსიდირებისთვის კვლავ მიმართოს. ოქტომბრამდე ვითარება უცვლელი იქნება, მერე კი რა მოხდება, არავინ იცის.

„ქართულ ბაზარზე ხორბალი შემოდის რუსეთიდან, ნაწილი ხვდება კახეთის წისქვილებში და იქიდან წამოსული ფქვილი ღირს 55 ლარი და ბევრი წარმოება ამას ყიდულობს, რადგან კარგი ფქვილია. დიდ წისქვილებში დამზადებული ფქვილი კი – 62 ლარი ღირს.

სუბსიდირების დასრულების შემდეგ 10 თეთრით რომ გაიზარდა პურის ფასი, მას შემდეგ ეს ღირებულება შენარჩუნებულია და ოქტომბრამდე არ იგეგმება გადახედვა. მერე ვნახოთ, რა მდგომარეობა იქნება.

არჩევნების მერე ალბათ, ისევ მივმართავთ მთავრობას, რომ სუბსიდირების პროგრამა, ან რამე ასეთი ინექცია გამოიყენონ. ჯერ საქართველოს ბაზარზე ბოლო გაძვირება არ ასახულა. ამასთან, წელს ქართული ხორბლის მოსავალიც კარგია. აქამდე თუ ბაზრის 10% ეჭირა, წელს უკვე 15%-მდე არის გაზრდილი. თუმცა, როგორც ვიცი, ლოჯისტიკა, კომბაინების დეფიციტი წელს პრობლემა იყო ფერმერებისთვის“, – განაცხადა პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა **მალხაზ დოლიძემ.**

გარდა საერთაშორისო ფასებისა, ადგილობრივი ბაზრისთვის სერიოზული პრობლემაა გაზრდილი გადასახადები, რამაც სამეწარმეო ხარჯის სერიოზული ზრდა გამოიწვია.

„არ მესმის, წყალი რატომ უნდა ღირდეს ასე ძვირი, წისქვილისთვისაც, მეპურისთვისაც და მოსახლეობისთვისაც უსაშველოდ მაღალი გადასახადია. ამ დროს წყალს მიაქვს ქვეყანა და ასეთი ძვირი არ უნდა ღირდეს. ყველა მსხვილი კომპანია გავიდა ბაზრიდან რეგიონებში, ტარიფებს აარიდეს თავი, ჩვენ კი შეგვრჩა ეს გაზრდილი გადასახადი, რასაც ბზინესი ძლივს უმკლავდება.

იმის მაგივრად, რომ ხალხს პანდემიით გამოწვეული პრობლემა შეუმსუბუქონ, ხარჯი გაგვიზარდეს. შეიძლება, ბევრად მარტივი ურთიერთობაც ჩამოყალიბებულიყო, ბიზნესს ყელში აქვს ხელი წაჭერილი ამხელა გადასახადებით“, – დასძინა მალხაზ დოლიძემ.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე **ლევან სილაგავაც** ამბობს, რომ რუსული ხორბლის ფასი კვლავ გაიზრდება, ბაზარზე ეს მომავალი კვირის შემდეგ აისახება. რუსეთი კი საქართველოსთვის მარცვლეულის უმთავრესი მომწოდებელია.

„12 აგვისტოს გამოქვეყნდა აშშ-ს სოფლის მეურნეობის ანგარიში მსოფლიოში ხორბლის ბალანსის შესახებ. სერიოზულად არის შემცირებული რუსეთის, კანადის და ამერიკისათვის საპროგნოზო მაჩვენებელი და ამის შემდეგ, ეს ასახვა მოხდა საფონდო ბირჟებზე. ევროპაში ე.წ. ფსიქოლოგიური 300-დოლარიანი ნიშნული უკვე გადალახულია, რაც სერიოზული თემაა და წლევანდელი ვაჭრობა სავარაუდოდ, დაძაბული იქნება.

პურის სუბსიდირების აუცილებლობა ისევ დადგება?!

ჯერ რუსეთის სამხრეთ რეგიონებში მოსავლის აღება არ დასრულებულა და შესაბამისად, ასახვა სრულად არ მომხდარა. ეს ყველაფერი რუსულ ბაზარზე, ალბათ, მომავალი კვირიდან აისახება. მოლოდინიც ასეთია, რომ რუსული ხორბალი გაძვირდება.

ერთადერთი დადებითი ტენდენცია ჩვენთან არის ლარის კურსის სტაბილურობა. მოგეხსენებათ, ხორბლის ფასთან ერთად, ეს უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

რაც შეეხება სუბსიდირებას, ჩვენი ასოციაცია ამას არასოდეს ემხრობოდა. პირდაპირ ვამბობ, ჩვენი ასოციაცია წინააღმდეგი იყო ფქვილის სუბსიდირების. ჩვენ ყოველთვის თავისუფალი ბაზრის მომხრე ვიყავით. ახლა, თუ სუბსიდირება მოხდა, ჩვენი შეთავაზება იქნება, პურის წარმოებაში გაკეთდეს სუბსიდირება“, – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ სილაგავამ.

ბექა დანელია

ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲠᲘ ᲨᲘᲨᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲝᲡ!

ᲝᲫᲠᲝ-ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ, ფულის საბეჭდი მანქანის და, ზოგადად, ფინანსების ძალასა და მიმზიდველობაზე ბევრი ცნობილი ლაპიდარული გამოთქმა არსებობს. მეოცე საუკუნეში არნახულად გაიზარდა ინფორმაციის როლი, მისი ძალა და იშვა კიდეც ახალი გამოთქმა: „ᲕᲘᲜᲪ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲤᲚᲝᲑᲡ, ᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ“! არც ისე დიდი ხნის წინ კი, ერთ ინგლისურენოვან წერილში წავაწყდი სათაურად გამოტანილს: „ᲕᲘᲜᲪ ᲙᲝᲕᲘᲓᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲡ ᲤᲚᲝᲑᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲝᲕᲘᲓᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲡ, ᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ“! ძნელია არ დაეთანხმო რომელიმეს და, ცხადია, როცა ფინანსებიც, ინფორმაციაც და პოლიტიკაც ერთ ხელშია თავმოყრილი, ეს პოსტულატი უკვე აბსოლუტური ჭეშმარიტების მნიშვნელობას იძენს.

ამით აიხსნება, რომ კოვიდვაქცინაციისადმი კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს, მათი განათლების და ცენზის მიუხედავად, ყველა ცენტრალურ მედიაში მაქსიმალურად ზღუდავენ, ბევრი მათგანი კი თავად არ აქტიურობს სამსახურის დაკარგვის შიშით. საარსებო წყაროს გადაკეტვა ნებისმიერი (პატიოსანი, განათლებული, თავდადებული და სხვა დადებითი თვისებებით შემკობილი) ადამიანის გასანეიტრალებელი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ერთი მხრივ, შიში და მეორე მხრივ, მატერიალური წახალისება – ფულით, სხვადასხვა პრივილეგიების და წოდებების მინიჭებით, ანუ მოქრთამვა-მოსყიდვა სავსებით საკმარისია ადამიანების „მოსათვინიერებლად“, სასურველ პოზიციაზე გადმოსაყვანადაც კი (იშვიათი, ჯიუტი გამონაკლისებისთვის სხვა მეთოდებიც არსებობს!). პანდემიის დასაწყისიდანვე ათასობით და ათეული ათასობით დოლარს უხდიდნენ ამერიკის ჰოსპიტლებს (სხვა ქვეყნებშიც, ოღონდ, – უფრო ნაკლებს) კოვიდის ყოველ დიაგნოზში, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე გადაყვანილ ყოველ კოვიდ-პაციენტში, დიაგნოზის სიზუსტეს კი არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ამგვარი წახალისება ახლა უკვე ვაქცინაციასთან დაკავშირებითაც გრძელდება, „ახალისებენ“ ყველას – ამცრელსაც და ასაცრელსაც. ასეა ყველგან მსოფლიოში, ასეა ჩვენთანაც!

სრული წარმატებისთვის, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აუცილებელია ხელისუფლების მოსყიდვა და დაშინებაც, ხოლო ტოტალური და გლობალური გავლენის მოსაპოვებლად, სახელმწიფოების, მთელი მსოფლიოს ქეჩაში ხელის წავლების უძველესი დროიდან ცნობილი საშუალება კი, ხალხის, საზოგადოების ორ დაპირისპირებულ მხარედ გახლეჩაა, რაც, სამწუხაროდ, უკვე მესამედ ხდება ჩვენთან: პირველი ორი პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოიშვა – ბევრს ახსოვს 90-იანებში ზვიადისტებად და შევარდნაძისტებად, მეოცე საუკუნის დასაწყისში კი – მიშისტებად და ანტიმიშისტებად დაყოფა; ამჟამინდელი კი – ერთმანეთის ჯანმრთელობაზე მზრუნველ ადამიანებს შორის, ოჯახის წევრებს შორის ხდება, რომლებსაც ვერ გაურკვევიათ, თუ რომელ მათგანს აქვს ტვინი გადაბრუნებული, რომელია ჩამორჩენილი და რომელი – პროგრესული.

ხალხის გახლეჩა არც ისე ძნელი ყოფილა – დეზინფორმაციით შეზავებული 24-საათიანი პროპაგანდით, გამუდმებით დაავადებიანობის და სიკვდილობის მატებაზე, კუბოებზე, ვირუსების ახალ-ახალ, უფრო და უფრო საშიშ შტამებზე ლაპარაკით, ანუ გარედან ორკესტრირებული მასობრივი ფსიქოგენური იატროგენიით და, ამ დაუსრულებელი პანდემიის მიზეზად ვაქცინაციის მოწინააღმდეგე აუცრელი ადამიანების დადანაშაულებით, სანუკვარი მიზანი თითქმის მიღწეულია, ცოტაც და ... მაგრამ, არავინ იცის როგორ შეტრიალდება მომენტი – არც **იატროგენული დანაშაულის** (მედიცინის მუშაკების შეგნებული ან შეუგნებელი, საზოგადოებისთვის სახიფათო ქმედება) ჩამდენი ადამიანების ხილვაა გამორიცხული განსასჯელთა სკამზე!

პლანეტარული მასშტაბის იატროგენური დანაშაულის მხოლოდ ერთ, სულ ახალ ფაქტს მოგაწვდით: ჟურნალ „Health and Science“-ში 5 აგვისტოს ქვეყნდება საუბარი თეთრი სახლის მთავარ სამედიცინო მრჩეველთან, ალერგიის და ინფექციურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორთან **ენტონი ფაუჩისთან**. აი, მისი სიტყვები: **„დელტა 1 000-ჯერ უფრო კონტაგიოზურია (გადამდებია), ვიდრე პირველი, ალფა-ვარიანტი, მაგრამ ვირუსის კიდევ უფრო საშიში მუტაცია მოგველის ახლო მომავალში“! მხოლოდ ამ სიტყვებისთვის (ძველი ცოდვებიც რომ არ ვახსენოთ) მას უნდა ჩამოერთვას ექიმის დიპლომი და პასუხისგებაში იქნეს მიცემული.**

და აი, რატომ:

მართალია, ამერიკის მთელ რიგ შტატებში ადგილი აქვს დელტა ვარიანტით დაავადებიანობის მკვეთრ მატებას და ზოგან ახალი ანტირეკორდებიც კი დამყარდა, მაგრამ როგორ შეიძლება რამდენიმე ათეულ ათასი, ტესტებით(!) გამოვლენილი შემთხვევისთვის რამდენიმე ასეულის დამატება, 1 000-ჯერ(!) მატებად შეფასდეს?! რას ემსახურება ასეთი, ვითომდაც არითმეტიკული უვიცობა? **ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲢᲝᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲘᲨᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ!** ჯერ ძველი, ბრიტანული შტამი ვერ მოუნელებია მსოფლიოს ხეირიანად, ახალი, დელტა შტამით გამოწვეული შოკიდანაც(!) ვერ გამოსულა ხალხი, მათ შორის, შეერთებულ შტატებშიც, და ამ დროს ასეთი რამის დაბრეხვება – კარს მომდგარი კიდევ უფრო საშიში მუტაციით მოსახლეობის დაზაფვრა, სახელმწიფოს მთავარი ინფექციონისტის უნებლიე შეცდომით შეუძლებელია აიხსნას! **ეს წმინდა წყლის სისხლის სამართლის დანაშაულია!** ეს ცეცხლზე – მსოფლიოს მოდებულ კოვიდხანძრებზე ნავთის დასხმაა, უფრო ზუსტად, – **ეს უკიდურესად სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ხალხის ფსიქიკურ აშლილობამდე, დეპრესიამდე მისაყვანი და დასამონებელი უმოკლესი გზაა!**

სწორედ ამ მიზნით გადადგმული კიდევ ბევრი სხვა ნაბიჯებისთვის მოუწევს მას, ჩემი ღრმა რწმენით, მთავარ საბრალმდებულო სკამზე დაჯდომა ამერიკელი ხალხის ძალისხმევით, ანდა – 2024 წლის არჩევნებში გამარჯვებული, პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** ინიციატივით (ამის იმედს ტრამპის მიერ 2017 წლის 25 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება იძლევა. მის შესახებ ოდნავ ქვემოთ)!



ᲔᲜᲢᲝᲜᲘ ᲤᲐᲣᲩᲘ:

ᲓᲔᲚᲢᲐ 1 000-ᲯᲔᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲝᲜᲢᲐᲒᲘᲝᲖᲣᲠᲘᲐ (ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘᲐ), ᲕᲘᲓᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲐᲚᲤᲐ-ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲛᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ!

* * *

ნათქვამია: **„ყველამ თავის ... მამიდას მიხედოსო“**. ჰოდა, ახლა ჩვენს „მამიდებზეც“ ვთქვათ ორიოდ სიტყვა, მე თქვენ გეტყვით, ცოტაა სათქმელი თუ რა! ასაკით უფროსისგან, 73 წლის ბ-ნი **თენგიზ ცერცვაძისგან** (ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გენერალური დირექტორი) დავიწყებ, სოციალურ ქსელში 12 აგვისტოს დადებული მისი განცხადებით:

„საქართველოში ბოლო ერთ კვირაშიც კი, როცა ფიქსირდებოდა გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევები, ეს მაჩვენებელი არ აღემატებოდა 1%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი 100 COVID ავადმყოფიდან მხოლოდ ერთი ავადმყოფის გადარჩენა ვერ ხერხდებოდა. ხოლო მთელი პანდემიის პერიოდში აღებული საშუალო მაჩვენებლით საქართველო (1.35%) სჯობნის აშშ-ს (1.74%) და ევროპის 32 ქვეყანას. ასე მაგალითად, ჩვენთან, რომ სიკვდილობის მაჩვენებელი (CFR - Case Fatality Rate – დადასტურებულ შემთხვევებს შორის გარდაცვლილთა რაოდენობა) ისეთივე იყოს, როგორც მაგალითად გერმანიაში (2.42 %), მაშინ ჩვენთან გარდაცვლილთა საერთო რიცხვი არა 6 230, არამედ 11 160 კაცი იქნებოდა (საქართველოში COVID ავადმყოფთა ჯამური რიცხვი 461 198-ია, ხოლო ამ რიცხვის 2.42 % – 11 160), ანუ პრაქტიკულად რაც არის, იმაზე ორჯერ მეტი. დღეში 30,40 და 50 გარდაცვალება ძალიან მძიმეა საქართველოსთვის, მაგრამ ეს გამოწვეულია კოვიდინფიცირებულთა კატასტროფულად მაღალი რიცხვით და ვაქცინაციის დაბალი მოცვით, არა ცუდი კლინიკური მართვით“.

აქვე, სამეულიდან ყველაზე უმცროსის, 68 წლის ბ-ნ **პაატა იმნაძის** (ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის, ამირან გამყრელიძის მოადგილე) იმავე 12 აგვისტოს იდენტურ განცხადებასაც გაგაცნობთ: **„პროპორციულად რომ შევადაროთ, 100 000 მოსახლეზე ჩვენ, დღეს რა ავადობაც გვაქვს, ინდოეთში რაც ხდებოდა, 5-ჯერ მეტი არის ჩვენთან. რამდენი ინფიცირებულიც იქნება, იმდენი ათასი ავადმყოფიდან დაახლოებით 10-13 გარდაიცვლება. სანამ ჩვენი მოსახლეობის ნახევარი მაინც არ აიცრება, სამწუხაროდ, სხვა მეთოდებით მართვა დაგვჭირდება ხოლმე. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ლეტალობა ყველგან, განვითარებულ ქვეყნებში ამ ეტაპზე არის 1 % ან 1.3 %“.**

ზუსტად ამ განცხადებებზეა ნათქვამი: **„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“!..**

თუკი, ბოლო ერთ კვირაში გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა ფიქსირდებოდა და იგი მაინც არ აღემატებოდა 1%-ს, მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია, მთელი პანდემიის პერიოდში აღებული საშუალო მაჩვენებელი როგორღაა უფრო მაღალი – 1.35%? პანდემიის პირველ ექვს (!) თვეში (2020 წლის მარტ-აგვისტოში) ხომ მხოლოდ 19 (!) ადამიანი გარდაიცვალა კოვიდით, მერე კი, ანუ დელტამდე ხომ ასევე ნაკლები იღუპებოდა, ვიდრე ახლა, ბოლო დღეებში ?!

მაგრამ, ამას რა უშავს, მთავარი და სასიხარულო ისაა, რომ ამ მაჩვენებლით, თურმე, საქართველო განვითარებულ ამერიკა-გერმანიასაც სჯობს, დანარჩენ ევროპას კი ტოლს არ უდებს, ლეტალობა ყველგან 1-1.3 % ყოფილა. და, თურმე, ასე გაგრძელდება ჩვენთანაც: **„ყოველი- 1 000 ინფიცირებული ავადმყოფიდან 10-13 გარდაიცვლება (ანუ 1-1.3%), სანამ ჩვენი მოსახლეობის ნახევარი მაინც არ აიცრება“**.

დავიჯერო, დიდ წინააღმდეგობაში რომ ვარდებიან ჯანდაცვის ეს მესვეურები, ამას ვერ ამჩნევენ?! **დელტა ვარიანტით გამოწვეულმა კოვიდმა უპირველესად იმ სახელმწიფოებში რომ იფეთქა, სადაც ვაქცინაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ, ეს არ იციან?!** დაავადების გავრცელებაც ზოგან ერთნაირად (აცრილებში და აუცრელებში), ზოგან კი აცრილებში უფრო მეტად რომ აღინიშნა, არც ეს იციან?! წესით და თანამდებობრივი მდგომარეობით სწორედ მათ უნდა იცოდნენ, ვალდებულნი არიან იცოდნენ ყველაფერი, რაც კოვიდის ირგვლივ ხდება მსოფლიოში. და, ძალიან კარგადაც იციან, მაგრამ მე მაინც შევახსენებ:

ᲘᲜᲓᲣᲠᲛᲐ ᲨᲢᲐᲛᲛᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ (ინდოეთის შემდეგ, ცხადია) **ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ, ᲩᲘᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲘᲨᲔᲚᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲘᲤᲔᲗᲥᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ(!) ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ – 50-60 % ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ!** ᲘᲤᲔᲗᲥᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲛᲔᲛᲮᲕᲔᲕᲘᲗᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲘᲮᲡᲜᲐᲡ! ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲕᲘᲠᲣᲡᲝᲚᲝᲒᲘᲡ, **ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲕᲘ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ** (ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲛᲣᲜᲝᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ) ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ, ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘᲡ **ᲚᲘᲣᲙ ᲛᲝᲜᲢᲐᲜᲘᲔᲡ** ᲒᲐᲨᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲡᲘᲔᲓᲔᲡ: **„ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ(!), ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲨᲢᲐᲛᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ“!**

დიდ ბრიტანეთში, სადაც მოსახლეობის 50%-ზე მეტი სრულად, ხოლო 25% ერთჯერადად იყო აცრილი, ინდური შტამის მიზეზით გარდაცვლილი 117 ადამიანიდან 60 % (43 – სრულად, 17 – ერთჯერადად) აცრილი იყო!

ამერიკაში, მასაჩუსეტსის შტატის ერთ, **„გეების მექად“** წოდებულ პატარა პროვინციულ ქალაქში (ასეთივე სახელით – Provincetown, მოსახლეობა – დაახლ. 3 000 ადამიანი), სადაც 12 წლის ზემოთ, თითქმის ყველა იყო აცრილი, 3 ივლისს იფეთქა, მაგრამ რა იფეთქა დელტა კოვიდმა, ჯერ ამის მსგავსი არ მომხდარა არსად – სამ კვირაში 833 (!) ადამიანი გახდა ავად და, როგორც CDC იტყობინება პირველი **469 შემთხვევიდან 74%(!) სრულად იყო ვაქცინირებული** (მთლიანად აშშ-ში იმდროისთვის სრულად 44% იყო ვაქცინირებული, მასაჩუსეტსის შტატში – 64%, თავად პროვინსტაუნში – 70%-მდე !) (იმას კი აღარ გვეუბნებიან 833-დან დანარჩენ 364 შემთხვევაში რამდენი იყო აცრილთა პროცენტი, ალბათ, კიდევ უფრო მეტი, თორემ პირიქით რომ ყოფილიყო, ამას ხომ ნიშნის მოგებით სიხარულით გვამცნობდნენ). ასეა თუ ისე, **ორივე ოფიციალური სტატისტიკური მონაცემი (ლეტალობის და გავრცელების) იმაზე მეტყველებს, რომ ვირუსის დელტა-შტამისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს აცრილია ადამიანი თუ აუცრელი.** შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ აცრილი ადამიანის უჯრედები ოდნავ უფრო მეტადაც კი იზიდავს მას! ეს მოვლენა ნაკლებად გაგვიკვირდება თუ გავითვალისწინებთ პროვინსტაუნში დადგენილ ერთ ძალზე მნიშვნელოვან ფაქტს, რომლის აფიშირება არ მომხდარა: ჩატარებულმა გენეტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ **ვაქცინირებული- (!) ადამიანები ვირუსს გადასცემდნენ სხვა ვაქცინირებულ(!)** ადამიანებს! როგორც კვლევის ერთ-ერთი მონაწილე ამბობს: ამ მონაცემებმა ისეთი გაოცება გამოიწვია CDC-ის მეცნიერებში, თითქოს მათ **„კანარის ჩიტი ენახოთ ქვანახშირის მაღაროში“!**

ასე რომ, სამეულის მიერ გაცემული დაპირებები, დღემდე რომ გვიჭედავენ ყურებს: **აცრილები დაცულები იქნებით, ან საერთოდ არ გახდებით ავად, ანდა — ძალიან იშვიათად და იოლ ფორმებში გადაიტანთო, პოლიტიკოსების წინასაარჩევნო დაპირებების მსგავსი აღმოჩნდა!**

რაც შეეხება ლეტალობის მაჩვენებელს, — როგორც სამეული გვეუბნება, 50-60%-ით აცრილ ქვეყნებთან შედარებით, ოდნავ უკეთესიც კი გვქონია. დელტა-ვარიანტით გამოწვეული კოვიდის აფეთქებები დღესაც გრძელდება და **ახალ-ახალი ანტირეკორდები მყარდება 60-70, 80(!) %-ით ვაქცინირებულ განვითარებულ სახელმწიფოებში და... 90%-ით აუცრელ (!) და განუვითარებელ საქართველოშიც!** მაგრამ რატომ ხდება ასე, არავინ გვიხსნის, ჩვენით კი, აბა, რას მივხვდებით, ეს ხომ ჩვენს, ანტივაქსერების გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება! ჩვენ მხოლოდ დაწყებითი სკოლის განათლების მქონე ადამიანსაც რომ გაუჩნდება, ისეთი კითხვა გვებადება: **„მაშ, რაღა ჯანდაბად გვინდა ეს ვაქცინაცია“?!**

პაატა იმნაძემ ინდოეთი მოიყვანა შესადარებლად — **„ინდოეთში რაც ხდებოდა (ანუ წარსულშიო), 100 000 მოსახლეზე ავადობა 5-ჯერ მეტი არის ჩვენთან დღესო“**. ასე შორს, ინდოეთში „წასვლა“ რა საჭირო იყო, როცა ჯერადობით უარესი მაჩვენებელი (როგორც დაავადების გავრცელების, ისე სიკვდილობის მხრივ) მეზობელ რუსეთთან შედარებითაც გვაქვს კარგა ხანია, მაგრამ, აქ საყურადღებო უფრო სხვა რამ არის, რასაც ნახევარსიმართლე ჰქვია. იმნაძემ ინდოეთის მდგომარეობა რახან ასე კარგად იცის, მაშასადამე, მასთან ერთად ცერცვაძე და გამყრელიძეც საქმის კურსში არიან, თუ როგორ, რომელი პრეპარატით გაუმკლავდა ინდოეთი დელტა ვირუსს. მაგრამ, სწორედ ამის გამჟღავნება, რაც ყველა ჩვენგანის ინტერესშია, არცერთს არ სურს, არ გვეუბნებიან, რადგანაც ხმის ამოღების უფლება არა აქვთ! არადა, ინდოეთში გამოყენებულმა პრეპარატმა, შეიძლება ითქვას, გადატრიალება მოახდინა კოვიდის მკურნალობაში, ოღონდ იმ ქვეყნებში (მექსიკა, პერუ, არგენტინა, ჩეხეთი, სლოვაკია, ზამბია, იაპონია, ინდოეთი და სხვა), რომლებმაც გაბედეს და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), ევროპის სამედიცინო სააგენტოს (EMA), ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC), ამერიკის კვებითი და სამედიცინო პროდუქტების სამმართველოს (FDA) **წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დანერგეს ანტიპარაზიტული და ანტივირუსული მოქმედების „ივერმექტინით“ კოვიდპაციენტების მკურნალობა**. ცხადია, სათანადო ლაბორატორიულ-კლინიკური კვლევების გარეშე, დაუფიქრებლად და პირდაპირ არავინ დასტაკებია მრგვალი ჭიების საწინააღმდეგოდ შექმნილ ამ პრეპარატს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არნახული წარმატებით გამოიყენეს ე.წ. „მდინარის სიბრმავის“ გამომწვევი დაავადების დროს (68 მილიონ ადამიანს ჩაუტარდა ივერმექტინით მკურნალობა აფრიკაში და სამხრეთ ამერიკაში. მიღებულ შედეგებს „ტრიუმფი მკურნალობაში“ უწოდა ჯანმომ 2009 წელს და ეს პათოლოგია დავიწყებულ დაავადებათა ჯგუფში შეიყვანა).

* * *

„ივერმექტინის“ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ღირს მასზე ცოტა ვრცლად შეჩერება, მით უმეტეს, რომ ზემოჩამოთვლილ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებს და ვაქცინების მწარმოებელ ტრანსნაციონალურ კომპანიებს მასშტაბური დეზინფორმაციის და დისკრედიტაციის კამპანია აქვთ გაჩაღებული ივერმექტინის წინააღმდეგ, ხოლო ჩვენი, დასავლეთის შემყურე ჯანდაცვის სამინისტრო და სამეული კი დღესაც ჭოჭმანობს — ვერ გაუბედავს უკვე კარგად აპრობირებული ამ პრეპარატის გამოყენება. პოლიტიკოსები რომ ვერ დგამენ ნაბიჯს დასავლეთის უკითხავად, ეს არახალია, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იმასაც მოვესწარით, რომ ექიმი(!) ვერ ბედავს ავადმყოფს მისცეს ის წამალი, რომელიც უეჭველად უშველის. ვაი თუ ძია სემი გაგვიბრაზდეს, — ფიქრობს იგი, — და ჩემი განთავისუფლება მოსთხოვოს ხელისუფლებას, რომელიც თვალის დაუხამხამებლად აღასრულებს მის ნებას, მაშინ? ხომ დარჩა გვერდზე კარგი ანაზღაურება, პრივილეგიები და გრანტები! თუმცა, ადამიანებისგან (ჯანდაცვის მესვეურებს ვგულისხმობ, ცხადია და არა — ჰოსპიტლებში მუხლჩაუხრელად მომუშავე მედპერსონალს!), რომლებმაც დაივიწყეს ავადმყოფის მკურნალობის

დონალდ ტრამპი:

ეს მკვლელობები ფარმაცევტული ინდუსტრიის კისერზეა!

ჰიპოკრატისეული პრინციპი: „უპირველესად, არ ავნო და ყოველთვის დაეხმარე“, აღარაფერია გასაკვირი.

აი, რას წერს **თენგიზ ცერცვაძე** ფეისბუკში 11 აგვისტოს: **„სადღეისოდ „ივერმექტინს“ არ აქვს აშშ FDA-ს ან EMA-ს ოფიციალური რეკომენდაცია (approval), ხოლო ჯანმო და NIH, და მსოფლიოს სხვა წამყვანი ინსტიტუციები რეკომენდაციას იძლევიან, რომ „ივერმექტინი“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კლინიკური კვლევების ფარგლებში. ამ დღეებში ვიმსჯელეთ „ივერმექტინის“ კოვიდ ავადმყოფების სამკურნალოდ კლინიკური კვლევის ჩატარების თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნება უახლოეს დღეებში“.**

დღეების წინ იმსჯელეს, მაგრამ დასკვნის გამოტანას კიდევ დღეები სჭირდება, თურმე! არათუ მასობრივი მკურნალობის, კლინიკური კვლევის ჩატარებაც კი ვერ გაუბედავთ! ისინი ცუდ დღეში არიან, **ეშინიათ, ძია სემის უკითხავად და გაიდლაინის გვერდის ავლით მხოლოდ მძიმე ავადმყოფების მკურნალობაც კი დაუმორჩილებლობაში (ან, სულაც, რუსეთუმეობაში) არ ჩამოართვან!** ცერცვაძეს ისიც „ავიწყდება“, კრინტს არ ძრავს იმის შესახებ, რომ არათუ ივერმექტინს, დღემდე არცერთ (!) ვაქცინას არ აქვს „აპროვალი“, არცერთი მათგანი არ არის მოწონებულ-დამტკიცებული და, რომ ყველა ვაქცინა ნებადართულია **მხოლოდ განსაკუთრებულ(!) შემთხვევებში** გამოსაყენებლად, **როგორც „გადაუდებელი(!) გენური თერაპიული საშუალება“**. ვაქცინად წოდებული ამ პროდუქტის ინსტრუქციის მიუხედავად, მაინც დაჟინებით გვაიძულებენ დავთანხმდეთ აცრებს, თანაც, არავითარი დიფერენციაცია — ღრმად მოხუცებულს, ზრდასრულს თუ მოზარდს, 120, 60 თუ 30 კგ წონის ადამიანს, განურჩევლად(!) ყველას, ერთი და იგივე დოზას უშხაპუნებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია! მხოლოდ ბრიყვი თუ დაიჯერებს, რომ ასეულ მილიონობით უკვე აცრილი ადამიანი ყველა „განსაკუთრებული“ და „გადაუდებელი“ შემთხვევა იყო, რომ სათანადოდ შეუსწავლელი კოვიდვაქცინები ჩვენი ჯანმრთელობისთვისაა შექმნილი, ხოლო მრავალ მილიონ ადამიანზე წარმატებით გამოცდილი, სერიოზული გვერდითი მოვლენების არმქონე „ივერმექტინი“ კი, კიდევ თვეობით დაკვირვებას საჭიროებს! ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ, თუ რა შედეგები და რეაქცია მოჰყვა „ივერმექტინის“ გამოყენების დაუსაბუთებლად შეწყვეტას ინდოეთის ერთ-ერთ შტატში.

იაკობ ლეჟავა,
15 აგვისტო, 2021

(დასასრული იქნება)



ამირან გამყრელიძე: ყველა უნდა ვეცადოთ, რეკომენდაციები დაცული იყოს, რათა არ დაგვჭირდეს უფრო მკაცრი შეზღუდვების დაწესება...

ეპიდემიოლოგიური ვითარება **საკმაოდ რთული და მძიმეა. ყოველდღიურ შემთხვევათა რიცხვი მერყეობს 4000-5000 ფარგლებში. დღეს პირველი შემთხვევაა, როდესაც 4000 ჩამოსცდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მოგეხსენებათ, შაბათს და კვირას გარკვეულად იკლებს ხოლმე რაოდენობა,** — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა. მისი თქმით, ბოლო დღეებია, სტაბილიზაციის ძალიან პატარა ნიშნები შეიმჩნევა.

„ვნახოთ, უნდა დავაკვირდეთ მომავალი ორი კვირის განმავლობაში, თუ ეს სტაბილიზაცია გაგრძელდა, მაშინ ნიშნავს, რომ თანდათან გადავდივართ პიკს. სიკვდილიანობის მაღალი ციფრები პირველ რიგში განპირობებულია შემთხვევათა რაოდენობით. რაც მეტია შემთხვევათა რაოდენობა, დაახლოებით 1-1.5% სიკვდილიანობაა. ამავე დროს, ეპიდვითარების დასტაბილიზირება იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ დავიცავთ უკლებლივ ყველა რეკომენდაციებს და რეგულაციებს უმკაცრესად“, — განაცხადა გამყრელიძემ. ამასთან, ამირან გამყრელიძის განცხადებით, ჯანდაცვის სისტემაზე ზეწოლა ძალიან მაღალია.

„დღეს ქვეყანაში აქტიური პაციენტი არის 59 659, აქედან 7 400-მდე არის მოთავსებული სტაციონარებში და დანარჩენი გახლავთ კოვიდსასტუმროებში. 49 000-მდე ადამიანი მკურნალობს ბინაზე. ზეწოლა ჯანდაცვის სისტემაზე არის უკიდურესად მაღალი, ამიტომაც საველე ჰოსპიტლები, რა თქმა უნდა, ამ სიტუაციის გარკვეულად შერბილების ერთ-ერთი გზაა. იქ თავსდებიან საშუალო სიმძიმის ადამიანები“, — განაცხადა გამყრელიძემ.

როგორ დაიცვან თავი ორსულებმა დელტა შტამისგან?

ვაქცინა უშვილობას არ იწვევს!

როგორ მოქმედებს დელტა შტამი ორსულებზე? რადიო თავისუფლება ამ თემასთან დაკავშირებით ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრის მეან-გინეკოლოგს სოფო თამაგაშვილს ესაუბრა.

— COVID-19-ის ადრეულ ფორმასთან დაკავშირებით ინფორმაცია შედარებით მეტია, მაგრამ რამდენად სახიფათოა დელტა შტამი ორსულებისთვის?

— დელტა შტამი პაციენტებში ცოტა უფრო აგრესიულად მიმდინარეობს, მაგრამ ორსული და არაორსული ამ შემთხვევაში არ განირჩევა, უბრალოდ, ორსულის იმუნური სისტემა უფრო სუსტია და შესაძლოა მის ორგანიზმში ვირუსი ადვილად მოხვდეს. ამიტომ ორსულებისთვის რეგულაციების დაცვა და აცრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მას შემდეგ, რაც დელტა შტამი გავრცელდა და დადგინდა, რომ ის მაღალი სიკვდილიანობით გამოირჩევა, აშშ-ის დაავადებათა კონტროლის სააგენტო სისტემატურად მოუწოდებს ორსულებს, რომ აიცრან. ადრე იყო რეკომენდაციები, ორსულობის მეორე ან მესამე ტრიმესტრში გაეკეთებინათ ვაქცინა. ახლა უამრავი კვლევა ტარდება და მათზე დაყრდნობით, ქალი ორსულობის პირველი დღიდან უნდა იყოს აცრილი.

— აქვს თუ არა ვაქცინას უკუჩვენება?

— არ არის აღწერილი რამე შემთხვევა, რომ ან კოვიდი ან ვაქცინა ნაყოფის რამე გართულებას იწვევდეს. „ფაიზერს“ პირდაპირ უწერია ინსტრუქციაში, რომ ის რეკომენდებულია ორსულებისთვის.

ტელეფონი არ ჩერდება, დღე არ გავა, რომ არ დარეკონ და არ იკითხონ, მართლა იწვევს თუ არა ვაქცინა უშვილობას. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია. არანაირი სამედიცინო მტკიცებულება არ არსებობს, რომ ის უშვილობას იწვევს. საიდან წამოვიდა ეს მითი, ნამდვილად არ ვიცი. ერთადერთი ხსნა ამ ვირუსისგან არის აცრა.

— გადადის თუ არა ვირუსი დედიდან ნაყოფზე?

— კვლევები ამ კუთხით მწირია. არის აღწერილი შემთხვევა, რომ ბავშვი ინფიცირებული დაიბადა, მაგრამ ასევე არის მოსაზრება, რომ „ფაიზერმა“ შეიძლება ნაყოფიც კი დაიცვას დაავადებისგან. კითხულობენ ხოლმე, ვის უფრო აზიანებს კოვიდი: ორსულს, მელოგინეს თუ ახალშობილს. თუ ორსულს აქვს დიაბეტი, მსუქანია და ასე შემდეგ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში რისკი მეტია და აცრაც ორმაგად აუცილებელი.

— ბავშვის ძუძუთი კვებაც ჩვეულებრივად შეიძლება?

— ძუძუთი კვება არ იკრძალება. არ დასტურდება, რომ ვირუსი ამ გზით გადადის.

— რამე განსხვავება ხომ არ არის სისხლის რეზუსის მიხედვით?

— კოვიდთან დაკავშირებით არა.

— თქვენი გამოცდილებით, ბევრმა გადაიფიქრა დაორსულება?

— კი, ძალიან ბევრი თავს იკავებს დაორსულებისგან. ან დაორსულებამდე ჯერ ვაქცინაციას გეგმავს. ზოგს ამ ვაქცინისაც ეშინია.

— კოვიდპაციენტებს ხშირად აღენიშნებათ დეპრესია, ამავე დროს, არსებობს მშობიარობის შემდგომი დეპრესიაც. რამდენად გართულდება ამ კუთხით პაციენტის მდგომარეობა, თუ მას მშობიარობის შემდეგ COVID-19 დაემართა?

— ორსულებს კოვიდის გარეშეც შეცვლილი აქვთ გუნება-განწყობა და იგივე ხდება მშობიარობის შემდეგაც. კოვიდი, რა თქმა უნდა, ართულებს ამ მდგომარეობას. ამიტომ პაციენტს მხარდაჭერა სჭირდება როგორც ექიმების, ასევე ახლობლების მხრიდანაც.

— რამდენად შეიძლება ორსულმა მიიღოს ის წამლები, რომლებიც COVID-19-ის სამკურნალოდ გამოიყენება?

— გააჩნია, რა სირთულისაა დაავადება, ყველა შემთხვევაში მკურნალობა ინდივიდუალური სქემით მიმდინარეობს.

ესაუბრა
თეა თოფურია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ!

დათა თუთაშხია:

„...მომჭერით თავი, ეს სტატიაც არამზადა სააკაშვილის შეკვეთილი თუ არ იყოს ამ წუპაკი, მექრთამე ამერიკელებისთვის!..

„ქართულ ოცნებას“ საქართველო რუსეთის ორბიტაში შეჰყავს და ძირს უთხრის დემოკრატიულ ინსტიტუტებს, — ასეთი დასკვნა გამოაქვთ 20 აგვისტოს Foreign Policy-ში გამოქვეყნებულ სტატიაში აშშ-ის ყოფილ ელჩს საქართველოში იან კელის (2015-2018 წწ.) და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილ მოადგილეს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში, დეივიდ კრამერს. სტატიის სათაურია „საქართველო ზურგს აქცევს დასავლეთს“.

„საქართველო ზურგს აქცევს დასავლეთს“

ავტორების თქმით, საქართველო ათწლეულების განმავლობაში იყო რეგიონში ყველაზე პროდასავლური ქვეყანა და აშშ-ის მნიშვნელოვანი მოკავშირე. ისინი აღნიშნავენ დიდ წინსვლას, რომელსაც ქვეყანამ მიაღწია დემოკრატიზაციის გზაზე. მაგრამ, მათი თქმით, **„ამ წინსვლას ახლა საფრთხე ექმნება მმართველი პარტია, „ქართული ოცნების“ მხრიდან, რომელსაც, როგორც ჩანს, ძალაუფლების ყველა სადავის ხელში ჩაგდება უფრო აფიქრებს, ვიდრე მმართველობის დასავლური სტანდარტების მიღწევა. ამავე დროს, როგორც ჩანს, ის კავშირებს აძლიერებს რუსეთთან და ბელარუსთანაც კი“.**

სტატიის ავტორთა აზრით, საქართველოში უკანასკნელ ხანებში განვითარებულ მოვლენებში შეინიშნება საგანგაშო ტენდენცია - თბილისი მოსკოვისა და მინსკის არალიბერალური რეჟიმებისგან სესხულობს რეპერტუარს და დასავლეთის წინააღმდეგ გალაშქრებასაც იწყებს.

კელი და კრამერი იხსენებენ ფეისბუკის მიერ დაბლოკილ ყალბ ანგარიშებს, რომლებიც „ქართულ ოცნებასთან“ იყო დაკავშირებული და რომლებიდანაც ანტიდასავლური და, განსაკუთრებით, ანტიამერიკული პროპაგანდა ხორციელდებოდა. მსგავსი შემთხვევა ხდებოდა ახლახან, შენიშნავენ ავტორები, როცა ვებსაიტები და სოცმედიის ანგარიშები, რომლებიც „ქართულ ოცნებასთან“ არის დაკავშირებული, „უპრეცედენტო თავდასხმებს“ ახორციელებდნენ აშშ-ის ელჩსა და მის ევროპელ კოლეგებზე, როცა კი ისინი კრიტიკას გამოხატავდნენ „ქართული ოცნების“ ან მთავრობის მიმართ.

სტატიის ყურადღების ცენტრშია თბილისში ივლისის დამდეგს განვითარებული მოვლენები, როცა თბილისში ლგბტ თემის მარშის გამართვის მოწინააღმდეგეებმა სცემეს 50-ზე მეტ ჟურნალისტს, რომელთაგან ერთი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. კელი და კრამერი შენიშნავენ, რომ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა არ დაგმო ძალადობა და აშშ-ის ელჩის კრიტიკა დაიმსახურა.

ავტორთა თქმით, სასამართლოს პოლიტიკური მიზნებით გამოყენება, მედიის შევიწროება და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია „არ არის საქართველოსთვის უპრეცედენტო“. ისინი იხსენებენ 2007 წელს, როცა მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ ძალა გამოიყენა ანტისამთავრობო საპროტესტო გამოსვლების წინააღმდეგ, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და მაუწყებლობა შეაწყვეტინა მთავარ ოპოზიციურ ტელეკომპანია „იმედს“. **„მაგრამ რაც უპრეცედენტოა, არის „ქართული ოცნების“ განცხადება, რომ გავა ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული შეთანხმებიდან. ამ ნაბიჯმა კვლავ განაახლა პოლიტიკური კრიზისი და ის მიანიშნებს უკანასკნელ ხანებში „ქართული ოცნების“ მოწყვეტაზე დასავლეთისგან და არალიბერალური რეჟიმების მოდელისკენ მიბრუნებაზე“,** — წერენ კელი და კრამერი.

ავტორთა თქმით, „ქართული სტანდარტებითაც კი განმაცვიფრებელი“ იყო ინფორმაცია სუს-სა და ბელარუსის კგბ-ს შორის შეთანხმების ამოქმედების შესახებ. გარდა იმისა, რომ ბელარუსი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასტიკი რეჟიმია, ბელარუსის კგბ „ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს რუსეთის ფსბ-სთან“.

ავტორები შენიშნავენ: **„ევროკავშირთან შეთანხმების გაუქმება და ამავე დროს მინსკის დიქტატორულ რეჟიმთან შეთანხმების დამტკიცება, მსუბუქად რომ ვთქვათ, კარგად არ გამოიყურება საქართველოსთვის და ზრდის შეშფოთებას დასავლური ორიენტაციისა და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ერთგულების თაობაზე“.**

ავტორები აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდებენ, გამოიყენოს საქართველოზე თავისი გავლენა. ბაიდენის ადმინისტრაციამ და კონგრესმა, რომელშიც საქართველოს ორივე პარტიის მხრიდან აქვს ძლიერი მხარდაჭერა, **„უნდა მოუწოდოს „ქართულ ოცნებას“, დაუბრუნდეს ევროკავშირთან შეთანხმების პირობების განხორციელებას“.**

მათი აზრით, თუკი „ქართული ოცნება“ არ დაუბრუნდება შეთანხმებას, ან უარს იტყვის ბელარუსთან შეთანხმების გაუქმებაზე, ან „საარჩევნო მაქინაციებს“ მიმართავს, ბაიდენის ადმინისტრაციამ „მიზნობრივი ჯარიმები“ უნდა დაუწესოს „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელებს.

„მართალია, შეერთებულ შტატებს არასოდეს მიუმართავს საქართველოში ასეთი ზომებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არის ერთადერთი გზა მიმდინარე დაღმასვლის შესაჩერებლად“, — დაასკვნიან იან კელი და დეივიდ კრამერი Foreign Policy-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „საქართველო ზურგს აქცევს დასავლეთს“.

ზაალ ანჯაფარიძე:

„ქართული ოცნების“ თავგადაკლული ოპონენტებიც კი ვერ იტყვიან, რომ ქვეყანა დაბრუნდა რუსეთის გავლენის სფეროში

კაცმა **რომ თქვას, რა ამოძრავებთ რეალურად გადამდგარ და შეიძლება ითქვას ჩამოწერილ დიპლომატებს და ჩინოვნიკებს დეივიდ კრამერს და იან კელის საქართველოს შესახებ ტვიტებით და სტატიებით რომ აიკლეს საჯარო სივრცე და გაფუჭებული ფირფიტასავით რომ იმეორებენ ნაცების და მათი სატელიტების „მესიჯბოქსს“ საქართველოს დაბრუნებაზე რუსეთის ორბიტაზე,** — წერს სოციალურ ქსელში ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე.

მისი ვარაუდით, შეკვეთილი სტატიები „ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივით არის სავსე. „ქართული ოცნებისთვის“ რუსულ ორბიტაზე დაბრუნება მიზანი არასდროს ყოფილა, რაც მათ არაერთხელ დაამტკიცეს.

„აქ არ შევუდგები მათი თითიდან გამოწოვილი, სუბიექტივისტური და ნაცმოძრაობის ნარატივებზე დაყრდნობილი „არგუმენტების“ განხილვას, აზრი აღარ აქვს. რადგანაც მსგავსი ფილმი უკვე რამდენჯერმე ვნახეთ 2020 წლიდან დაწყებული, შეკვეთილი წერილების, სტატიების და ტვიტების ნიაღვარი რომ მოდიოდა, ვითომ საქართველოს ბედზე „გულდათუთქული“ სენატორებისგან, ყოფილი მაღალჩინოსნებისგან თუ ექსპერტებისგან. ვიტყვი ერთს, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში უკვე მესამე ვადით არის და რუსულ ორბიტაზე დაბრუნება რომ ყოფილიყო მისი მიზანი, საკმარისი დრო ჰქონდა და ეს აუცილებლად აისახებოდა კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა თუ ქმედებებში. ხოლო დასავლეთთან გვექნებოდა თვისობრივად სულ სხვა ურთიერთობა. თუნდაც „ოცნების“ თავგადაკლული ოპონენტებიც კი ვერ იტყვიან, რომ ამ ხნის განმავლობაში საქართველო რამენაირად დაბრუნდა რუსეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენის სფეროში. მსგავსი არაფერი ხდება და არც მოხდება. არ არის საამისო ნიადაგი ქვეყანაში. „ნაცმოძრაობას“ კი შეუძლია საკუთარი შავი სალაროდან აფინანსოს შეკვეთილი სტატიები და მათი მწერლები“, — წერს ზაალ ანჯაფარიძე.

„აშშ-ის მხარდაჭერას ამართლებს და მეტს ელის, მით უფრო მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის დღის წესრიგში დგას რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები, რეგიონული არასტაბილურობა და ამას ახლა ავღანეთში არსებული ვითარებაც დაემატა.

ნიკანორ მელიას „მაღალი დონის“ კაფე-კაფე შეხვედრებით... მიზანმიმართული ლობირების გამოძახილია ჩვენი ქვეყნის მისამართით გამოთქმული აშშ-ის ყოფილი დიპლომატების პოლიტიკურად გაუაზრებელი მოსაზრებები თუ წერილები, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის მიმართ აშშ-ის პოლიტიკურ პოზიციას არ გამოხატავს და უბრალოდ ლობიზმისა და დიდი ფულის ფასად „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების სამსახურშია.

აბა, სხვაგვარად როგორ აიხსნება ის, რომ მათ მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი პირდაპირ იმეორებს ჩვენი ქვეყნის მიმართ ჩვენივე ოპოზიციის არამშვიდობიან განწყობა — დამოკიდებულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ პენსიაში გასული ყოფილი დიპლომატებისა თუ სხვა რანგის პირების განცხადებები და წერილები არ არის და არც შეიძლება იყოს აშშ-ის პოზიცია, მოკავშირე ქვეყნის მიმართ ეს

თამთა მეგრელიშვილი:

აი, რა ხდება მაშინ, როცა „ლობიზმს“ დიდი ფულის სუნი აქვს!.

განცხადებები ჩვენი საზოგადოების ნაწილში გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს და აშშ-ის მიმართ სანდოობის ხარისხზე აისახება.

ეს საბოლოო ჯამში არასასურველ განწყობებს ქმნის აშშ-ის — ჩვენი მოკავშირე ქვეყნის მიმართ.

ფაქტია და კარგია, რომ კერძო პარტიული ინტერესების დასაცავად გასროლილი დიდი ფულით ლობირება მხოლოდ დამკვეთსა და შემსრულებელს შორის არსებული პასუხისმგებლობაა, მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს აგულიანებს, რომ პარტიას საერთაშორისო გავლენები შერჩა... სინამდვილეში კი ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წინასაარჩევნოდ მათივე ამომრჩევლებისთვის ნაყიდი სატყუარაა და ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს საქართველოსა და აშშ-ის შორის რეალურ პოლიტიკურ ხედვებსა და საერთო დღის წესრიგზე“, — წერს Facebook-ზე საჯარო მმართველობის დოქტორი თამთა მეგრელიშვილი.



ᲕᲝᲚᲤ ᲛᲔᲡᲘᲜᲒᲘ:

„ᲠᲝᲪᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲐᲖᲠᲔᲑᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑ...“

ᲣᲪᲮᲝ და უჩვეულო იყო ჩემთვის მანამდე უცნობ სამყაროში ცხოვრება, მით უმეტეს, რომ საამისოდ სრულიად მოუმზადებელი ვიყავი, არც ენა ვიცოდი, არც ყოვლისმცოდნე იმპრესარიო მახლდა.

...სასტუმროში არავინ მიმიღო, ამიტომ პირველი ღამე სინაგოგის იატაკზე გავათიე, თან იქაც კი ადგილი ძლივს გამოვძებნე. მეორე დღეს კითხვა-კითხვით ქალაქკომის კულტურის განყოფილებას მივაკითხე, სადაც თავაზიანად, თუმცა კი საკმაოდ თავშეკავებულად მიმიღეს. საბჭოთა კავშირში, სადაც ცრურწმენებს ებრძოდნენ, მარჩიელებს, ჯადოსნებსა და ქირომანტებს დიდად არ სწყალობდნენ. მათ შორის ტელეპატებსაც, რაც შემდგომში დიდად მიშლიდა ხელს. ამიტომაც იყო, რომ ჩინოსანთა დაყოლიება გახდა საჭირო, რისთვისაც საკუთარი შესაძლებლობების არაერთგზის დემონსტრირება მომიწია. ბოლოს ერთმა კაცმა მაინც იწამა ჩემი — ეს იყო ხელოვნების განყოფილების გამგე პეტრე აბრასიმოვი, რომელმაც ბრესტის რაიონის მომსახურე მსახიობთა ბრიგადაში საკუთარი პასუხისმგებლობით ჩამრთო.

თავდაპირველად იმის გამო, რომ რუსული ძალიან ცუდად ვიცოდი, ხშირად ერთობ კომიკური ვითარება იქმნებოდა. თუმცა, გარდუვალი სირთულეების მიუხედავად, თავს საუცხოოდ ვგრძნობდი, სამყარო ახალ-ახალი ფერებით კიაფობდა. გასტროლები ბელორუსიის ქალაქებში გვქონდა და, ერთხელაც, ქალაქ გომელის ერთ-ერთ კლუბში ჩემთან სცენაზე ორი სამხედრო ამოვიდა, რომლებმაც ცდა შემაწყვეტინეს, დარბაზში მსხდომთ ბოდიში მოუხადეს, ჩამსვეს მანქანაში და სადღაც წამიყვანეს. რაღაც შენობაში ოთახში შემიყვანეს, სადაც სასტუმროდან წამოღებული ყველა ჩემი პირადი ნივთი დამხვდა, შემდეგ მეორე ოთახში გამიყვანეს და მარტო დამტოვეს. ცოტა ხანში ვიღაც ულვაშა კაცი შემოვიდა, რომელიც უმალ ვიცანი...

იოსებ სტალინს პოლონეთში არსებული მდგომარეობა პილსუდსკისთან და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებთან ჩემი შეხვედრების ამბები აინტერესებდა. ჩემი ინდუქტორი იგი არ ყოფილა. საკმაოდ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, რომ მთხოვდა, სტალინმა თვალები მოჭუტა:

— ისე, დიდი ეშმაკი კაცი ხართ, მესინგ!

— არა, ბატონო, მე სულაც არა ვარ ეშმაკი! — ვუპასუხე — აი, თქვენ კი ნამდვილად ეშმაკი ბრძანდებით!

იქვე მყოფმა მიხეილ კალინინმა ჩუმად სახელოზე მომქაჩა.

სტალინს მოგვიანებითაც ვხვდებოდი ხოლმე, როგორც ჩანს, სწორედ მისი დავალებით იყო, რომ ჩემი შესაძლებლობები საგანგებო ცდებით საგულდაგულოდ შეამოწმეს, რომელთაგან რამდენიმე განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

ერთხელ ასეთი დავალება მომცეს: სუფთა ფურცლით სახელმწიფო ბანკში 100 ათასი მანეთი უნდა მიმეღო. ეს ცდა ლამის ტრაგედიით დასრულდა: მე მოლარესთან მივედი და სკოლის რვეულიდან ამოხეული სუფთა ფურცელი მივაწოდე, პატარა ჩემოდანი კი მის სარკმელთან ბარიერზე შემოვდე. ხანდაზმულმა მოლარემ ფურცელს დახედა, სალარო გახსნა და ასი ათასი მანეთი გადათვალა. ეს ჩემთვის იმ ცდის გამეორება იყო, როცა მატარებლის კონდუქტორს შთავაგონე, რომ ქაღალდის ნაგლეჯი სამგზავრო ბილეთი იყო. ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ ამ ჯერზე საკუთარი თავისთვის არანაირი ძალდატანება აღარ დამჭირვებია. ჩემოდანი დავხურე და დარბაზის მაგიდასთან მივედი, სადაც მოწმეებს ცდის ჩატარების თაობაზე შედგენილი აქტისთვის ხელი უნდა მოეწერათ. ამ ფორმალობის გაფორმებას რომ მოვრჩით, ისევ იმ მოლარეს მივუბრუნდი. მან ჯერ მე შემომხედა, მერე სუფთა ფურცელს დახედა, რომელიც სხვა განაღდებულ ჩეკებთან ერთად უკვე ლურსმანზე ჩამოეცვა, შემდეგ თვალი ჰკიდა ჩემოდანს, რომლიდანაც ფულის დასტების ამოღება დავიწყე... უცებ იგი სკამის ზურგზე გადავარდა და ხროტინი დაიწყო... კაცს ინფარქტი მოუვიდა!

საბედნიეროდ, საბოლოოდ ეს საბრალო სიკვდილს გადაურჩა.

კიდევ ერთი დავალება იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი ძალიან მაღალი თანამდებობის პირის **(იოსებ სტალინის — ო.ტ.)** უმკაცრესად დაცულ კაბინეტში უნდა შევსულიყავი, ცხადია, უსაშვოდ... ეს დავალებაც ყოველგვარი დაძაბვის გარეშე შევასრულე. არადა, პოლიციის განყოფილების კარცერიდან თავის დაღწევა, რის შესახებ ზემოთ გიამბეთ, გაცილებით ძნელი იყო.

ხმები ჩემი მეტად თავისებური „ფსიქოლოგიური ცდების“ შესახებ, მთელ მოსკოვში დაირხა, მე კი განუწყვეტლივ „მამოწმებდნენ“, „ჩხრეკდნენ“ ჩემს შესაძლებლობებს, რადგანაც „სახიფათო კაცად“ მივაჩნდით.

ბოლოს „შემოწმებები“ დასრულდა, როგორც ჩანს, ასეთი იყო უზენაესი ინსტანციიდან მიღებული მითითება. მეც მუშაობას შევუდექი. პირველი გასტროლები ოდესასა და ხარკოვში მქონდა, თანდათანობით ჩემთვის ახალი, საბჭოური აუდიტორიის შეგუებაც ვისწავლე.

1941 წელს საქართველოში გავემგზავრე. ახლაც კარგად მახსოვს 22 ივნისის კვირადღის დილა. წინა საღამოს მეტად წარმატებული გამოსვლა მქონდა, ადრიანი დილით კი ფუნიკულიორით მთაწმინდის მთაზე ავედით. მთელი ამ ხნის განმავლობაში რაღაც გაუგებარი შფოთს ვყავდი შეპყრობილი, ცუდ გუნებაზე ვიყავი. მოსკოვის დროით 11:30 საათზე კი რადიოთი მოლოტოვი გამოვიდა — დაიწყო დიდი სამამულო ომი.

მოსკოვში მატარებლით ვბრუნდებოდი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე საბუთებს საგულდაგულოდ ამოწმებდნენ, რაც საკმაო უხერხულობას მიქმნიდა: საქმე ის იყო, რომ ჩემი ერთობ უჩვეულო გარეგნობა და უცხოური აქცენტი შემმოწმებლებში ეჭვს ძრავდა, თუმცა მათგან დავის დაღწევაში ჩემი პირველი საბჭოელი „იმპრესარიო“ ვიქტორ ფინკი მშველოდა, რომელიც ყველგან დამყვებოდა. მაგრამ, მოსკოვში რომ ჩავედით, ფინკმა შინისკენ გასწია, მე კი, როგორც კი მარტოკა დავრჩი, იმწამსვე დამაპატიმრეს. ასე მოხდა კიდევ რამდენჯერმე.

ომის პირველი დღეები ჩემთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, ვინაიდან შინაგანად თავს ზედმეტად ვგრძნობდი. სულ ვფიქრობდი: რით შემეძლო დავხმარებოდი ჩემს მეორე სამშობლოს ფაშისტურ ჭირთან ბრძოლაში. ჩემი ჯანმრთელობის პატრონი უშუალო ბრძოლებში მონაწილეობას ვერ მივიღებდი, ამდენად ამ საკაცობრიო სენთან დაპირისპირება მხოლოდ ჩემი ხელოვნებით, საკუთარი უნარით შემეძლო. თან ეჭვი მღრღნიდა: აბა, ამ გაჭირვების ჟამს, განა კი ვის რაში ვჭირდებოდი მე, ვოლფ მესინგი და ჩემი „ფსიქოლოგიური ცდები“?

თუმცა აღმოჩნდა, რომ საქმე არც ისე ცუდად ყოფილა: ევაკუაციაში ნოვოსიბირსკში გამიშვეს — თურმე, ვიღაც კიდევ ხსომებია სსრ კავშირის მოქალაქე ვოლფ მესინგი, მისი თავისებური ნიჭი ხალხისთვის ძველებურად საინტერესო ყოფილა...

წარმოდგენებს ვმართავდი თავდაცვის სისტემის ქარხნებსა და საამქროებში, საჯარისო შეკრე:ბის პუნქტებსა და მოქმედ საბრძოლო ნაწილებში, ჰოსპიტლებში...

...ახლა მაგიდაზე გაყვითლებული ქაღალდების სქელი დასტა მიდევს — ესაა მაყურებელთა გამოხმაურებები ჩემს გამოსვლებზე: ზოგი ხელითაა დაწერილი, ზოგიც მანქანაზეა დაბეჭდილი, სხვები ფერადი ნახატებითაა გაფორმებული და მხოლოდ ჩემი გვარია ტიპოგრაფიულად აწყობილი და ჩარჩოში ჩასმული... თითოეული მათგანი უძვირფასესია ჩემთვის, რადგან საერთო ბრძოლაში ჩემი მოკრძალებული წვლილის მოწმობაა და კიდევ ერთხელ მიწამდე თავს ვუხრი მათ ავტორებს!

იმ წლებში ძალიან ბევრს ვმუშაობდი, არც გამოსვლების ოდენობასა და სიხშირეს, არც დიდ მანძილებზე გადაადგილებას ვერიდებოდი.

1944 წელს, ნოვოსიბირსკში გამართულ „ფსიქოლოგიური ცდების“ ერთ-ერთი სეანსის შემდეგ ჩემთან ახალგაზრდა ქალი მოვიდა:

— მე მგონია, რომ თქვენი გამოსვლის შესავალი სიტყვა სხვანაირად უნდა იკითხებოდესო, — მითხრა.

— კეთილი, — ვუპასუხე, — შემდეგი გამოსვლა ორი დღის შემდეგაა, სცადეთ და თქვენ თავად წაიკითხეთ... მომზადებას მოასწრებთ?

— ვეცდებიო, — მიპასუხა.

ასე შევხვდი პირველად ქალს, რომელიც მოგვიანებით ჩემი ცოლი გახდა. აიდა 1960 წელს გარდაიცვალა. მასთან გატარებული წლები კი უბედნიერესია ჩემს ცხოვრებაში...

ომის შემდგომ პირველ წლებში კიდევ ერთი კაცი გავიცანი, გამოჩენილი დიპლომატი და მწერალი **ალექსი იგნატიევი.** აღარც იგია ცოცხალი, მე კი მას მუდამ უდიდესი პატივისცემითა და სინანულის გრძნობით ვიხსენებ.

თარგმნა

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №159-160, 161-162, 168

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘ ᲦᲐᲖᲐᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ

ᲦᲐᲖᲐᲡ სექტორის საზღვართან საპროტესტო აქციის დროს ისრაელელ ჯარისკაცებთან შეტაკების შედეგად სულ მცირე 41 პალესტინელი დაშავდა, მათგან ორის მდგომარეობა კრიტიკულია..

„ისრაელის თავდაცვის ძალების ჯარისკაცებმა, რომლებიც წინასწარ იყვნენ მომზადებული, გამოიყენეს აქციის დაშლის მეთოდები“, — ნათქვამია ისრაელის თავდაცვის ძალების ინფორმაციაში. პალესტინელებმა ღაზას სექტორის საზღვართან მდებარე ლტოლვილთა ბანაკთან საპროტესტო აქცია მოაწყვეს, ისრაელის ხელისუფლებამ კი ადგილზე სამხედრო დანაყოფები გაგზავნა.

40-ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲛᲐ თურქეთთან საზღვარზე 40-კილომეტრიანი კედლის მშენებლობა დაასრულა. ათენის განცხადებით, საზღვარზე ვიდეოკონტროლის ახალი სისტემა დამონტაჟდა, რათა ავღანეთში ხელისუფლებაში „თალიბანის“ მოსვლის შემდეგ თავშესაფრის მაძიებელთა ახალი ტალღა ევროპაში არ მოხვდეს.

ავღანეთში განვითარებულმა მოვლენებმა ევროკავშირში გააჩინა შიში იმისა, რომ განმეორდება 2015 წლის კრიზისი, როდესაც ახლო აღმოსავლეთში ომის გამო დაახლოებით მილიონი ადამიანი თურქეთიდან საბერძნეთში გადავიდა, შემდეგ კი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში აღმოჩნდა.

ᲗᲐᲚᲘᲑᲐᲜᲛᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲘ�გᲓᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲡᲢᲣᲚᲛᲐ ჯგუფებამ „თალიბანმა“, რომელმაც ცოტა ხნის ავღანეთი დაიპყრო, ხელში ჩაიგდო ავღანეთის სამთავრობო ძალების მიერ მიტოვებული აურაცხელი ოდენობის ამერიკული იარაღი და აღჭურვილობა.

ვრცელდება ვიდეოები, სადაც ჩანს როგორ ათვალიერებენ „თალიბანის“ მებრძოლები ჯავშანტექნიკას, ახალ ცეცხლსასროლ იარაღებს, საკომუნიკაციო საშუალებებსა და სამხედრო დანიშნულების დრონებს.

„ყველაფერი, რაც არ განადგურებულა, ახლა თალიბანს ეკუთვნის“, — განაცხადა სააგენტო Reuters-თან საუბრისას ამერიკელმა მაღალჩინოსანმა, რომელმაც არ ისურვა საკუთარი ვინაობის გამჟღავნება. შეერთებული შტატების ამჟამინდელი და წინა ადმინისტრაციის წარმომადგენლები გამოთქვამენ ღრმა შეშფოთებას, რომ ეს იარაღი თალიბანმა შესაძლოა სამოქალაქო პირების მოსაკლავად გამოიყენოს, გადასცეს სხვა შეირაღებულ დაჯგუფებებს, ან რუსეთსა და ჩინეთს. „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია სერიოზულად შეშფოთებულია ამ საკითხით და განიხილავს რა შეიძლება გაკეთდეს. ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციით, იარაღის ზუსტი ოდენობა ცნობილი არ არის, მაგრამ დაზვერვა ფიქრობს, რომ თალიბანი დაეუფლა 2 000-ზე მეტ ჯავშანტრანსპორტიორს, მათ შორის ამერიკულ **Humvee**-ს, და 40-მდე საფრენ აპარატს, მათ შორის Black Hawks-ის ტიპის ვერტმფრენებს, სადაზვერვო მოიერიშე ვერტმფრენებსა და ScanEagle-ის ტიპის სამხედრო დრონებს. 2002 წლიდან 2017 წლამდე შეერთებულმა შტატებმა ავღანეთის არმიას მიაწოდა თითქმის 28 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღი.

სუპერთასი

ვის დატორავს „შავი ლომი“?

უკვე გაუწყეთ, რომ 18 სექტემბერს რაგბი ევროპის სუპერთასის გათამაშება იწყება, რომელშიც პირველ პროფესიულ ქართულ ფრანჩაიზ „შავი ლომის“ მეტოქეები აღმოსავლეთ კონფერენციაში „ენისეი“ (რუსეთი), „ლოკომოტივი პენზა“ (რუსეთი) და „თელ ავივ ჰითი“ (ისრაელი) იქნებიან.

ვიდრე ლევან მაისაშვილი კოვიდვირუსს ებრძვის და სამხრეთ აფრიკაში მკურნალობს, ჩვენს გუნდს მისი ასისტენტი, „უმცროს ბორჯღალოსანთა“ თავკაცი **ილია მაისურაძე** მოამზადებს, ხოლო სამწვრთნელო შტაბში სხვადასხვა პოზიციებს გაუძღვებიან ლადო კილასონია, ირაკლი ჭყონია, დავით ნემსაძე, ნიკა პინაიშვილი, აბესალომ აბრამიშვილი, ედ ბარი, უილიამ ლუისი, დავით რამიშვილი, ვასილ აბაშიძე და ლექსო იორდანიშვილი.

დავძენთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ **ბაჩო ხურციძის** განცხადებით, არაა გამორიცხული, ბიჭები სხვა ქართველმა და ერთმა მაღალი დონის უცხოელმა სპეციალისტმაც ავარჯიშონ — შესაბამისი მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

„შავი ლომი“

პირველი ხაზი: ორაგველიძე, ქადარია, ხატიაშვილი, მამუკაშვილი, ხუროშვილი, ზამთარაძე, ლაზვიაშვილი, პერტაია, პატარაია, აბულაძე;

მეორე ხაზი: ჭეიშვილი, ჯაიანი, მიხეილ ბაბუნაშვილი, გუშარაშვილი, გიგაური;

მესამე ხაზი: თხილაიშვილი, აფციაური, ივანიშვილი, მამამთავრიშვილი, აქუბარდია;

№9: ბურნაძე, ბეგაძე;

№10: გიორგი ბაბუნაშვილი, მოძღვრიშვილი, მატკავა;

№12-13: შარიქაძე, თაფლაძე, ლომიძე, ქანდაურაშვილი;

№11-14: ტაბუცაძე, სვანიძე, თოდუა, ლაშხი, მოდებაძე;

№15: მათიაშვილი, ხმალაძე.

ვითომ?

მოჰფინეთ ნათელი!

აძამდე ვიცოდით, რომ ტოკიოს ოლიმპიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ამერიკის დელეგაციამ გაიმარჯვა, მაგრამ თამაშების დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ ჩინური სახელმწიფო მედიასაშუალებები საკუთარ ტრიუმფზე ალაპარაკდნენ.

მათ თანამემამულეთა მონაგარს ჰონკონგისა და ტაივანის ნადავლი დაუმატეს, რომლებიც ჩინურ ტერიტორიებადაა მიჩნეული, მაგრამ ფორუმზე ცალკე ქვეყნის სახელით გამოდიან.

საინტერესოა, ასეთ ვითარებაში როგორ პოზიციას დაიკავებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი.

ოკეანის გაღმა

ძველი ფორმატით

ნბა 75-ე სეზონიდან კოვიდპანდემიის გამო შეკვეცილი განრიგით (72 მატჩი) ძველებურ კალენდარს უბრუნდება, რომლის თანახმადაც გუნდები რეგულარულ ჩემპიონატში 82 შეხვედრას გამართავენ.

რაც შეეხება სტარტს, იგი 19 ოქტომბერსაა დანიშნული ორი თამაშით: „ლეიკერსი“ — „გოლდენ სტეიტი“ და „მილუოკი“ — „ბრუკლინი“, ხოლო 25 დეკემბერს, საშობაო საღამოს ასეთ ბრძოლებს ვიხილავთ: „ნიუ იორკი“ — „ატლანტა“, „მილუოკი“ — „ბოსტონი“, „ფინიქსი“ — „გოლდენ სტეიტი“, „ლეიკერსი“ — „ბრუკლინი“ და „იუტა“ — „დალასი“.

დავძენთ, რომ ახლახან დამთავრებული ნბა-ს საზაფხულო ლიგის გამარჯვებული მეორედ გახდა „საკრამენტო“, მისი ფორვარდი **ლუის კინგი** კი ტურნირის MVP-დ მიიჩნიეს (უძვირფასესი კალათბურთელი).

ტრავმები

მუხლიც, მაჯაც...



მართალია, სეზონის ფინიშამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ ჩოგბურთის ზოგიერთ ვარსკვლავს ტრავმების გამო ნაადრევად მოუწია შვებულებაში გასვლა.

მაგალითად, **როჯერ ფედერერმა** ვერაფრით მოირჩინა მუხლი და მალე კიდევ ერთი ოპერაცია ელის.

მეტიც, მისი ასაკის გათვალისწინებით, სათუოა არათუ საერთოდ კორტზე დაბრუნება, არამედ ჯანმრთელობის აღდგენა და ჩვეულებრივად სიარულის უნარის შენარჩუნება.

რაც შეეხება მსოფლიოს მეექვსე ავსტრიელ ჩოგანს, აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის 27 წლის გამარჯვებულ **დომინიკ ტიმს,** მას ამას წინათ ისევ შეახსენა თავი დაზიანებულმა მაჯამ, რის გამოც უიმბლდონი და ტოკიოს ოლიმპიადა გამოტოვა.

ამ დღეებში გაირკვა აგრეთვე, რომ ფეხის ძველა იარა **რაფაელ ნადალსაც** გაეხსნა, რის გამოც გრუნტის მეფე ახალ წლამდე ვერ შეძლებს თამაშს.

საფეხბურთო ბოდიალა

ეტყობა, ავღანეთის ხელისუფლებაში „თალიბანის“ დაბრუნების შემდეგ ის რეალობა აღდგება, როცა გოგონებს ეკრძალებოდათ სკოლაში სიარული, ქალებს კი არ ჰქონდათ სახლს მიღმა მუშაობისა და მამაკაცთა გვერდით გავლის უფლება.

ბუნებრივია, შექმნილმა ვითარებამ შიში ქვეყნის სპორტული ცხოვრების მიმდევრებშიც დათესა. ასე მაგალითად, ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და ფედერაციის ექს-თანამშრომელი, დანიაში გაქცეული ხალიდ პოპალი წერს: **„გოგონები იმალებიან, ტირიან და აგონიაში არიან. მომხდარი დიდი უსამართლობაა და ქალებმა იმედი დაკარგეს“.**

* * *

გაისად კამერუნი აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშებას უმასპინძლებს, რომლის გახსნის მატჩიც 9 იანვარს გაიმართება მასპინძელთა და ბურკინა ფასოს ნაკრების მონაწილეობით, ფინალი კი — 6 თებერვალს.

ამ დღეებში იქაურ ქალაქ დუალაში ჩატარებულმა წილისყრამ შავი კონტინენტის ელიტა მომავალი ფორუმის კალენდრის მიხედვით ასე „დაახარისხა“.

„ა“ ჯგუფი. კამერუნი, ბურკინა ფასო, ეთიოპია, კაბო ვერდე;

„ბ“ ჯგუფი. ზიმბაბვე, გვინეა, მალავი, სენეგალი;

„გ“ ჯგუფი. კომოროსი, გაბონი, განა, მაროკო;

„დ“ ჯგუფი. გვინეა ბისაუ, ეგვიპტე, სუდანი, ნიგერია;

„ე“ ჯგუფი. კოტ დ’ივუარი, ალჟირი, ეკვატორული გვინეა, სიერა ლეონე;

„ვ“ ჯგუფი. მავრიტანია, გამბია, მალი, ტუნისი.

* * *

„პარი სენ-ჟერმენმა“ საფრანგეთის ჩემპიონატში უკვე ზედიზედ სამი სასტარტო შეხვედრა მოიგო, მაგრამ კარიერაში, შესაბამისად, მეორე და მესამე კლუბის მაისური ჯერ არ მოურგიათ „კომუნართა“ მეგაშენაძენებს — **ლეო მესისა** და **სერხიო რამოსს.**

ალბათ, ეს დღეც მალე გათენდება, ოღონდ საკითხავია — მოხვდება კი ლიგა — ერთის გრანდის ძირითად შემადგენლობაში სენის ნაპირებზე თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგებული 35 წლის მადრიდის „რეალის“ ყოფილი საკულტო ფიგურა, რომელიც, თურმე, როგორც ერთ-ერთი წამყვანი ესპანური რადიოსადგური „კადენა სერ“ იუწყება, **„ქედმაღლურად ექცევა ახალ პარტნიორებსა და მომსახურე პერსონალს“.**

ბუნებრივია, ვეტერანი პირენეელი ვარსკვლავის ოსტატობაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ მის სკანდალურ ხასიათზე საუბრისას გასათვალისწინებელია „პარკ დე პრენსის“ ბინადართა არგენტინელი თავკაცის **მაურისიო პოჩეტინოს** წესრიგისადმი ერთგულების ფაქტორი.

ზემოთ ესპანეთი ვახსენეთ და სიამოვნებით გაუწყებთ ლა ლიგაში დემეტრაძის, შ. არველაძისა და ქოჩორაშვილის შემდეგ მეოთხე ქართველი ლეგიონერის — 20 წლის მეკარე **გიორგი მამარდაშვილის** წარმატებული დებიუტის შესახებ.

პრიმერა-დივიზიონის სტარტზე „ვალენსიას“ მიერ „ხეტაფესთან“ 1:0 მოგებული მატჩის შემდეგ მასპინძელთა გოლკიპერი ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს. ასევე საიმედოდ ითამაშა პერსპექტიულმა „ჯვაროსანმა“ „გრანადასთან“ სტუმრად — 1:1.

პოლიტიკური ბუნტი „რუსთავი 2“-ში

ცნობილი სახეები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ერთმანეთის მიყოლებით **ტოვებენ. პირველი ეს ნაბიჯი „კურიერის“ წამყვანმა გურამ როგავამ გადადგა.**

„მადლობა „რუსთავი 2“-ს ახალი შესაძლებლობების აღმოჩენისთვის. მადლობა ყველა იმ თანამშრომელს, ვინც ორი წლის განმავლობაში ჩემს პროფესიულ განვითარებაზე გულწრფელად ზრუნავდა, მეხმარებოდა და მაძლიერებდა. სამწუხაროდ, დღეს ვერ ვხედავ საკუთარ თავს ამ არხზე, ძალიან მიჭირს, მაგრამ უნდა გადავდგა ეს ნაბიჯი.

ცვლილებების დროა!

მადლობა მაყურებელს, რომელიც გადაცემა P. S.-ის მოულოდნელი გაუჩინარების გამო, წუხილს მიზიარებდა, მამხნევებდა და ჩვენი გუნდის ეთერში დაბრუნების იმედს გამოთქვამდა. მეამაყება თითოეული გადაცემა, რომელიც ამ მოკლე დროში მოვამზადეთ. ბოდიში იმის გამო, რომ ვერ დავაბრუნე „პოსტსკრიპტუმი“, რომლის ამბიციაც იყო ეჩვენებინა შეუნიღბავი რეალობა და დამდგარიყო ხალხის გვერდით. მჯერა, იგივე ამბიციით მალე ისევ შევხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ეს „რუსთავი 2“-ზე არ მოხდება“, — დაწერა სოციალურ ქსელში როგავამ.

მან ჟურნალისტებთან ასევე განაცხადა, რომ მის მიმართ არხზე შევიწროება მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ის „ტვ.-პირველის“ ოპერატორის **ლექსო ლაშქარავას** გარდაცვალებას ხელისუფლებას აბრალებდა.

„გარკვეული პოლიტიკური ლიდერები ჩემი ეთერიდან ჩახსნას ითხოვდნენ“, — განაცხადა როგავამ. უკვე ცნობილია, რომ როგავა, ჟურნალისტურ კარიერას ტელეკომპანია „ფორმულაში“ გააგრძელებს.

გურამ როგავას შემდეგ „რუსთავი 2“ **თეონა ცხომელიძემაც** დატოვა. კოლეგის მსგავსად არხიდან წასვლის შესახებ საზოგადოებას მან სოციალური ქსელის მეშვეობით შეატყობინა.

„როცა ამ პროფესიაში ხარ, მართალი უნდა იყო სამთან: მაყურებელთან, შენს რესპონდენტებთან და საკუთარ თავთან. დანარჩენი — მეგობრობა, პირადი ურთერთობები, პოლიტიკოსები (როცა ისინი რესპონდენტები არ არიან) მენეჯმენტიც კი, ან უმუშევრად დარჩენით გამოწვეული პრობლემები მეორეხარისხოვანია.

მივდივარ „რუსთავი 2“-დან, რადგან ვეღარ ვხედავ ჩემს თავს ამ არხზე. არ ვეთანხმები სარედაქციო პოლიტიკას, რომელიც ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა, რომელიც მიუღებელია ჩემთვის და რომელიც მაყურებლისთვისაც საგრძნობია.

17 წელი ცოტა არაა პროფესიაში, კარგად რომ გაარჩიო სწორი და არასწორი. მივდივარ სახლში, წარმატებებს ვუსურვებ კოლეგებს და მადლობა ყველას, ვინც აქამდე მომცა შესაძლებლობა როგორც წამყვანს, რეპორტიორსა და პროდიუსერს ისე გამეკეთებინა ჩემი საქმე, როგორც სწორად მიმაჩნდა — მომეყოლა ყველაფერი და ზუსტად ისე როგორც იყო“, — დაწერა **თეონა ცხომელიძემ** სოციალურ ქსელში.

ასევე, საზოგადოებაში ჩნდება მოსაზრება, რომ „რუსთავი2“ არხის ტელესახემ, **ნათია ლაზაშვილმაც** დატოვა. ცნობილი ტელესახე ამ დღეებში მიუწვდომელია და უცნობია თუ სად იმყოფება ის, დატოვა თუ არა მშობლიური ტელევიზია, თუ უბრალოდ ტაიმ-აუტი აიღო.

სწორედ, საზოგადოებაში გაჩენილი ამ კითხვებით, არხის გენერალურ დირექტორს **პაატა სალიას** მივმართეთ. მისგან კი, ასეთი პასუხი მივიღეთ: **„ჰოლდინგის შექმნის შემდეგ მენეჯმენტში ჩართული არ ვარ, ამიტომ ვერაფერს გეტყვით“.**

ცნობისთვის, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ში სტრუქტურული რეორგანიზაცია 5 მარტს გამოცხადდა. რეორგანიზაციის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ „რუსთავი 2“ და „პრაიმტაიმი“ ერთ ჰოლდინგად გაერთიანდა.

ქეთი გიორგაძე

ელამი იუმორი

კორონა კომპიუტერში?!

კოვიდეპიდემიასგან ბოძებულ დღევანდელ გაუსაძლის ყოფაში ვაქცინის წყალობით კორონას კლანჭებს კი როგორღაც დავუძვერი, მაგრამ ახლა კიდევ აქეთ ყურის ანთება გამომეჩხირა. იქით ვეცი, აქეთ ვეცი, ყურის ვაქცინას ვერსად მივაგენი (რაც არ არის, რას მივაგნებდი) და იძულებული გავხდი სამკურნალოდ ოტორინოლარინგოლოგისთვის (ქართულად ყელ-ყურ-ცხვირის ექიმისთვის) კლინიკაში მიმემართა.

ექიმი, შავგვრემანი, ტანმრგვალი ქალბატონი უუმურ ხასიათზე ჩანდა. რა თქმა უნდა, მთელი ღამის უძინარი, არც მე ვიყავი სიმღერის გუნებაზე.

– ექიმო, ყური მაწუხებს.

– კორონა? გვერდით ოთახში მიბრძანდით.

– კორონა არა, ყური ექიმო, მარჯვენა ყური.

–რომელი, მარცხენა?

– არა, ხომ გითხარით, მარჯვენა.

– ცოტა ხმამაღლა, ვერ გავიგე.

– მარჯვენა ყური, მარჯვენა! – ვიღრიალე მე.

– რა გაყვირებთ, ყრუ კი არა ვარ, – გამიწყრა მკურნალი.

– ერიჰაა, რაღა ამას მოვადექი, – გავიფიქრე, – თავის ყურისთვის ვერ მოუვლია და მე რას მიმკურნალებს?

ექიმი, ეტყობა მიხვდა (უფრო ფსიქოლოგი ჩანდა, ვიდრე ოტორინოლარინგოლოგი) ჩემს ნააზრევს და დამიყვირა:

– დაწყნარდით, ახლა მკურნალობის ისეთი მეთოდებია, მისთვის ჩემს სმენადობას მნიშვნელობა არა აქვს.

– კი მაგრამ, ხომ უნდა გაგაგებინოთ, რა მტკივა?

– რა გტკივათ, მაგას კომპიუტერი გაარკვევს, დიაგნოზს დაგისვამთ და მკურნალობას ამის მიხედვით დაგინიშნავთ.

– არ მესმის, რა კომპიუტერზეა ლაპარაკი, მე ხომ ყური მტკივა?

– ჰოდა, თქვენ ყურს შევიყვანთ კომპიუტერში, ორი დღის შემდეგ მოხვალთ და უკვე გვეცოდინება, რა გჭირთ და რა საშუალებებით უნდა გიმკურნალოთ. რა არის ამაში გაუგებარი?

აღარ შევკამათებივარ. დათქმულ დროზე რომ მივაკითხე, ექიმი გამხიარულებული დამხვდა.

– არის დიაგნოზი, – მითხრა მკურნალმა – თქვენ ყური კი არა, თურმე კბილი გტკივათ.

– როგორ გეკადრებათ, კბილი კი არა, სწორედაც ყური მტკივა, – გავჯიუტდი. – რიკოშეტით ყურს გადაეცემა და თქვენ გეჩვენებათ, რომ ყური გტკივათ.

– რა უნდა ვქნა?

– კომპიუტერში სადიაგნოზოდ ყური კი არა, კბილი უნდა შევიყვანოთ და მას ვუმკურნალოთ...

...ვბრუნდებოდი შინ ექიმისგან დამშვიდებული და ვფიქრობდი: რა კარგია მედიცინა სწრაფი ტემპით რომ ვითარდება. აბა, ადრე ვინ იოცნებებდა ყურის კომპიუტერით მკურნალობაზე, ახლა კი კბილზეც ალაპარაკდნენ. აი, ჩვენი სასწაულმოქმედი მედიკოსები ამ სატანას კორონასაც თუ როგორმე შეიტყუებენ კომპიუტერში, კოვიდეპიდემიისგან წამებული პლანეტა მართლაც რომ შვედით ამოისუნთქავს.

ოთარ ხუციშვილი

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობა მწუხარებას გამოთქვამს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარის

ბესიკ კოჭლამაზაშვილის

გარდაცვალების გამო.

ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ მაისურაძე, მერაბ ლეკვეიშვილი, ნინო სულამანიძე, მამია ჟუმბურიძე

ვანო, დავით კოჭლამაზაშვილები ოჯახებით და სრულიად საგვარეულოს სახელით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარე, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ექიმი, პროფესორი, 88 სამეცნიერო ნაშრომის და 4 სახელმძღვანელოს ავტორი, ბატონი

ბესიკ კოჭლამაზაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

უახლოესი მეგობრები: **გია გვაზავა, ბაკურ გულუა, ნუგზარ კახიშვილი, გოგი ბერაძე, მერაბ კილაძე, ნუკრი გოგიტიძე, კოტე შენგელია, კახა არდია, თემურ ჯიაშვილი, სოსო ჯღარკავა, გურამ კაკულია, თემურ ჯანაშია, ზურაბ კუტივაძე, გია მიძაძე, თემურ დანელია, გია ბერაძე, მურმან არაბიძე, ზურაბ ჩიქოვანი, სოსო ხარებავა, რუბენ გახარია, ოთარ ჭითანავა** სამძიმარს უცხადებენ **გია კახეთელიძეს** მამის, უკეთილშობილესი და ღვაწლმოსილი პიროვნების

ბიძინა კახეთელიძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები: გურამ ჩიქოვანი და თეიმურაზ ებრალიძე ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ ღირსეულ პიროვნებას თენგიზ რამიშვილს გარდაეცვალა მეუღლე, უძვირფასესი ქალბატონი

ლაურა ილიას ასული ნასიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის დიდ ოჯახს.

ქაბულიდან სამშობლოში დაბრუნდნენ

ავღანეთიდან 20 აგვისტოს გამოფრენილი საქართველოს 16 მოქალაქე სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოს 16 მოქალაქე ქაბულიდან ევაკუაციის შემდეგ ბრიტანეთის სამხედრო ბაზაზე იმყოფებოდა.

ჩამოფრენილებს აეროპორტში მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, რევაზ ჯაველიძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი დახვდნენ.

„პირველივე დღიდან, როცა გადაწყდა ჩვენი მოქალაქეების ევაკუაცია ავღანეთიდან, პრემიერ-მინისტრის დავალებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო და მთავრობის ადმინისტრაცია ჩავერთეთ საკმაოდ რთული მოლაპარაკებების პროცესში, რომელიც წარმატებით დასრულდა და ჩვენი 16 თანამოქალაქე დაუბრუნდა ოჯახებს. უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა ვუთხრა საგარეო საქმეთა სამინისტროს გაწეული სამუშაოსათვის და რა თქმა უნდა, ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს. მე ვახსენე უკვე, რომ ეს იყო საკმაოდ რთული მოლაპარაკებების პროცესი და ძალიან დაგვეხმარნენ ჩვენი მეგობარი ქვეყნები, ორგანიზაციები და სახელმწიფო უწყებები, ვისთანაც ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს. მთავარი არის ის, რომ მიზანი მიღწეულია, ჩვენი მოქალაქეები თბილისში არიან“, — განაცხადა რევაზ ჯაველიძემ.

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲝᲚᲝᲜᲐᲫᲔ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 82 წელი შეუსრულდა ღვაწლმოსილ მშენებელს, შესანიშნავ პიროვნებას და მეგობარს **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲝᲚᲝᲜᲐᲫᲔᲡ**.

დაიბადა 1939 წლის 25 აგვისტოს აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში. 1961 წელს დაამთავრა ოდესის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების მშენებელი ინჟინრის სპეციალობით. შრომითი საქმიანობა დაიწყო ყაზახეთის რესპუბლიკაში, შემდეგ გადმოვიდა საქართველოში და ღირსეულად ემსახურებოდა საქართველოს აღმშენებლობას.

დიდია ბატონ დავითის წვლილი აფხაზეთის საკურორტო კომპლექსების შექმნის საქმეში.

მუშაობდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტ „ბიჭვინთმშენის“, შემდგომ ტრესტ „კურორტმშენის“ მმართველის პირველ მოადგილედ.

ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა აფხაზეთის ხელმძღვანელ ორგანოებში. იყო გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე.

ხელმძღვანელობდა და მნიშვნელოვანი მონაწილეობა აქვს მიღებული ქ. გაგრის კომპლექსური განაშენიანების საქმეში. ასევე გაგრისა და გუდაუთა-ახალი ათონის ზონის მსხვილი საკურორტო-ტურისტული კომპლექსების მშენებლობაში, კერძოდ, როგორიცაა ბიჭვინთის მაღლივი პანსიონატების საერთაშორისო მნიშვნელობის საკურორტო კომპლექსი 3000 ადგილზე, მწერალთა და არქიტექტორთა დასასვენებელი სახლები, ტურბაზა ათონში და სხვა.

დავით დოღონაძე დღესაც ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას, არის საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის ორივე წიგნის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი — აკადემიკოსი.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის საგამომცემლო ფონდის „არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგია დიდი სიყვარულით ულოცავს ბატონ დავითს დაბადების დღეს და უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას და წარმატებებს შემდგომ საქმიანობაში.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲔᲥᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲐᲟᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲐᲜᲖᲝᲠ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲕᲡᲐᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲛᲘᲥᲐᲣᲢᲐᲫᲔ

„ᲝᲚᲔ“ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲔᲑᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲓᲐ ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2021 წლის III, სპეციალური ნომერი — ჟურნალი „ოლე“ მასპინძლობს იმერეთში მცხოვრებ მწერლებს და აქვეყნებს: **თეიმურაზ ლანჩავას, ზაალ ებანოიძის, ცირა შალაშვილის, ომარ გვეტაძის, ლია გვენეტაძის, თამარ მამისეიშვილის, ირმა ქურასბედიანის, მურთაზ კანკაძის, მარიამ რევიშვილის, ეკატერინე აბუთაძის, მარიამ ვაჩიბერაძის, ბექა ქებულაძის, თამაზ მონიავას, მამა ექვთიმე ჩივაძის** ლექსებს; **მირიან ებანოიძისა** და **ელისო ქაროსანიძის** პროზაულ ნაწარმოებებს; **ნომადი ბართაიას, მარიამ მარჯანიშვილის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, ლევან გორვანელის** წერილებს.



ჟურნალი „ოლე“ აქვეყნებს **თეიმურაზ ლანჩავას** შესავალ წერილს, სადაც ნათქვამია: **„კარგახნის წინათ ჩამოყალიბებული ჩვენი ურთიერთობები მარად ახალია და ერთმანეთის შემოქმედებით ვხარობთ. ამღვრეულმა დრომ და პოლიტიკამ მოისურვა შემოქმედებითი ცხოვრება დროებით მიჩქმალოს, მაგრამ მწერლის ცოცხალი სიტყვა ყველა საზღვარს არღვევს და ადამიანებს „აიძულებს“ მეტი იფიქრონ ერთმანეთზე, მომავალზე.**

„ლიტერატურულ კახეთს“ მწერალთა და ხელოვანთა ლიტერატურულმა გაზეთმა ერთი ნომერი მთლიანად დაუთმო. იყო მილოცვები და სიხარული იმის გამო, რომ ჩვენი მეგობრობა გრძელდება. ჟურნალ „ოლეს“ დღევანდელი ცდა იმერეთში მცხოვრებ მწერალთა შემოქმედება დასტამბოს და მის მკითხველებს წარუდგინოს სამაგალითოა და მისაბაძი“. ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **შოთა ნარეკლიშვილი**) და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე **არჩილ თხლაშიძე**) მხარდაჭერით.

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲙᲚᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ

ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲞᲠᲔᲡ-ᲢᲣᲠᲡ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲡ. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, ესტონური TV 3-ის 8-კაციანი გადამღები ჯგუფი 2 კვირის განმავლობაში თბილისში, კახეთში, იმერეთში, აჭარაში, სამეგრელოსა და სვანეთში იმყოფებოდა. ესტონური მედიის წარმომადგენლებმა სიღნაღი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორია, ქუთაისი, ბათუმი, მესტია, უშგული და სხვა ტურისტული ადგილები დაათვალიერეს და გადაიღეს.

„მოხარული ვარ, რომ საქართველოში სატელევიზო შოუს გადასაღებად ჩამოვედი, რომელიც საქართველოს ბუნებისა და ქართველების შესახებ მომზადდება. საქართველოში გამორჩეული ხალხია, უნიკალური სტუმართმასპინძლობითა და სითბოთი. გამოსარჩევია ქართული სამზარეულო გემრიელი კერძებით. საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა, სადაც შეიძლება დასვენება. საქართველოში ბევრი მეგობარი შევიძინე, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში. ჩვენ ესტონეთში ძალიან გვიყვარს საქართველო და მოხარულები ვართ ჩვენს მაყურებელს ვაჩვენოთ ეს ლამაზი ქვეყანა“ — ამბობს გადაცემის წამყვანი ქეზი უბომაგი. პრეს-ტური საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ესტონეთში საქართველოს საელჩოს ჩართულობით შედგა. პრეს-ტურის ფარგლებში ესტონური ტელეკომპანია სპეციალურ გადაცემათა ციკლს სახელად „მოგზაურობა საქართველოში“ ამზადებს, გადაცემა 10 ეპიზოდისგან შედგება და ესტონელი ტელემაყურებელი სექტემბერში იხილავს. 42-წუთიანი გადაცემები საქართველოს ტურისტულ მიმართულებებს, საზღვაო და სამთო კურორტებს, ქართულ ტრადიციებს, კულტურას და ისტორიას დაეთმობა.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1257; ᲔᲕᲠᲝ - 3.6514;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.2560;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.1944; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3660;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8378;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3621.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +17, ᲓᲦᲔ +35
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +12, ᲓᲦᲔ +32
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +17, ᲓᲦᲔ +30
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +15, ᲓᲦᲔ +29
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +22, ᲓᲦᲔ +34

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge